საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.

ოთხშაბათი, 7 მაისი 1919 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი ფოსტით. ცალკე ნომერი ღირს 1 მან. განცხადების ფასი, რომელიც მიიღება გვერდზე, ანუ მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—2 მან. ხელმოწერილი განცხადება 80 მან. სხვადასხვა განცხადება უნდა მოიტანონ აქამდე არა უგვიანეს ღამის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთ რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის" რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში მიღება და მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 98

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

№ 98

ბესარიონ ბეჟანის ძე, შვილები: ვლადიმერ, თამარი, ალექსი, ზინაიდა, ბეჟანი, ლეონიდი, ბორისი და ნინა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, დღიდან გარდაცვალებისა ორმოცი დღის თავზე შვიდ მაისს ქ. ხაშურში გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფასი მეუღლისა და დედის

ეკატერინა ილარიონის ასულის ეჯანიძის

სულის მოსახსენებლად.

ახალი ბოლშევიკები

ამ ერთი წლის წინეთ ჩვენ მთელი რიგი ამხანაგებისა გამოგვეყვეთა, გაგვშორდა. მიზეზი იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება. ვერ მოუტანეს ერის უფლება—თვითგამორკვევისა, ვერ შეურიგდენ დიდი რუსეთის დაშლას ისეთ ნაწილებათ, რომელნიც მას ორგანიულად არ ეკუთვნოდენ.

მაგრამ ეს ამ ჟამათ არ გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ ეს გათიშულნი ჩვენ წმინდა დემოკრატიზმის იდეურ სამოსელში გვევლინებოდენ. დემოკრატიზმის დროშით მიდიოდენ... თვითონ კი რევოლიუციონერის უმწვერვალესათ განვითარებულ გრძნობა-გონების პატრონათ მოქონდათ თავი. მაშინაც ადვილი შესანიშნავი იყო, რომ სოციალური ბაზა, რომელზედაც ეყრდნობოდა ეს ჯგუფი და რომელსაც წარმოადგენდა დათხოვნილ მოხელეთა წრე—უპირველეს თავის დიდს დაასვამდა ამ მოძრაობას.

და მართლაც მოძრაობა ჩვენს წინააღმდეგ წამოიწყო რუსულ ნაციონალურ მოძრაობათ, განსაკუთრებით ქვეყნების დასამორჩილებლათ. ფედერაციის და ერთობის იდეები დემოკრატიული ფრონტის გაერთიანებისა, მათ რუსეთთან გაერთიანებით—ესე იგი რუსეთზე დამორჩილებით შეიცვალეს. სოლიდარობა მუშათა კლასისა—ჩვენი რესპუბლიკის გაუქმების საფუძვლათ გამოაცხადეს, ერთი სიტყვით დემოკრატიულ ფორმულებს იმპერიალისტური სული ჩაუდგეს. ამ რიგათ მათთვის იდეამ დაჰკარგა თავის ნამდვილი დამოუკიდებელი მნიშვნელობა, იდეა განეშორა დემოკრატიის ნამდვილ სამსახურს. იგი სხვა გარეშე მიზნების მოსამსახურეთ იქცა და ამით შეიბღალა.

ცხადი იყო, შემბედველნი, მას მხოლოდ მანამდე წაებღაუჭებოდენ, სანამ მისგან თავის იმპერიალისტურ და ნაციონალისტურ ზრახვათა განხორციელებისათვის ხელის შეწყობას გამოელოდენ, ხოლო ასეთ იმედის დაკარგვისთან ერთად მიატოვებდენ და ახალ იდეოლოგიას, ახალი ძალის მოტანილს შეეკედლებოდენ.

ეს ასეც მოხდა. რუსეთში ორი ბანაკი მუშაობს დღეს აქტიურად და ორივეს მიზნათ აქვს მთლიანი რუსეთის აღდგენა. ერთია რეაქციონური ბანაკი დენიკინისა, მეორე ანარქო-კომუნისტური ლენინისა. ჩვენს საზღვრებს პირველი მოადგა და აქაც ჩინოვნიკთა ბანაკში ასტყდა სიხარულის ყიჟინი. გვიშველა—მხსნელი მოვიდა.

„ზნამია სოციალიზმა" და მისი ძმანი შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ სომხების და არტაანისაც საქართველო სხვის მიწებს ეპოტინება და იმპერიალისტობს. ამით ეს გულჩათხრობილი რეაქციონერები, გულახდილად რომ ვერ გაუბედიათ თავის ლტოლვის წარმოთქმა, არა პირდაპირი გზით უმზადებდენ ნიადაგს დენიკინის ლაშქარს. ათანაწორებდენ, ასე ვთქვათ, მას და ჩვენს დემოკრატიას იმპერიალისტური ზრახვების მხრივ.

მაგრამ აი დენიკინელები დამარცხდენ ჩრდილოეთიდან ლენინის წითელ არმიისაგან და საქართველოში დარჩენილ ჩინოვნიკებსაც ახალი ღმერთი უნდა მოეძებნა. იგიც დაუყოვნებლივ შეუდგა რუსეთის საბჭოთა მთავრობის ქებას.

მათ უმტკიცეს, რომ იცოდა ბაქოს პროლეტარიატის სახელს იილათ შეეფარებოდა. ახლა პირველ რიგში რუსული გაზ. „სოც.-დემ." სულის ჩამდგმელნიც წამოიჭიმნენ.

საბჭოთა რუსეთის გაუმარჯოს, დაუყოვნებლივ სოციალიზმი მოიტანა. მათ სოციალიზმი იგე ამატურებს, როგორც წარსულის ზამთრის თოვლი, მაგრამ ბოლშევიზმს მოაქვს, ან უნდა მოიტანოს მათი აზრით, ჩვენი დემოკრატიის შერყევა, დამარცხება და რუსული ბატონობის გამეფება. და აი ეს აქვს მთავარი მიზნათ ბოლშევიკურ ქურქში წამოსხმულ „სოციალდემოკრატებს". ეს ქვეიანი ხალხი ახლა ჩვენ გვეკითხება ლექციებს, თუ როგორი უნდა მოეწყოს მუშათა კლასის დიქტატურა, როგორი უნდა გაბატონდეს პროლეტარიატი. მაგრამ მოგვიწოდებს ამ მიზნით რუსეთთან გაერთიანებისაკენ. და ეს დამატება ყოველთვის სდევს მათ წინადადებას; რა იდეასაც უნდა ჩაებღაუჭონ—ეს ერთი—მაინც მიზნათ რჩება—საქართველოს რესპუბლიკის გათქვეფა რუსეთის მღვრიე ზღვაში. აქედან ცხადია, მათი მიზანი სწორეთ ეს ნაციონალისტური პროგრამაა და არა სოციალისტური, დემოკრატიული, გინდ ბოლშევიკური. ეს ფუქსავანი მხოლოდ ემსახურება ამ მიზანს და მისაღებია მათთვის იმდენათ, რამდენათაც ემსახურება... მაგრამ მუშათა კლასის ნამდვილ ინტერესებთან ამას არავითარი კავშირი არა აქვს. ჩვენ გვემახსოვს, როგორი ეცვლებოდენ ფერს ქართველი ნაციონალისტები—იღებებოდენ წითლათ, შუთლდებოდენ, მარა წინ აყენებდენ ქართულ ნაციონალიზმს. ასევე იქცევიან დღეს ჩვენში რუსი ნაციონალისტები. მუშათა კლასმა უნდა შეიგნოს, რომ მათი მეტყველი ფრაზების ქვეშ მხოლოდ ეს მაწოწვნა, მაგრამ მუშათა კლასისათვის სრულიად მიუღებელი ნაციონალისტურ-შოვინისტური სული იფარება.

ბერნის კომისია რუსეთში

ამას წინათ ბერნში სოციალისტური კონფერენცია შეიკრიბა. კონფერენციამ სხვა კითხვათა შორის მსჯელობა იქონია რუსეთის კომუნიზმზე. კონფერენციაზე იმდენი ერთი მეორის საწინააღმდეგო რამ ითქვა რუს. კომუნიზმზე, რომ მან საჭიროთ დაინახა სპეციალური კომისიის არჩევა, რომელსაც დაევალა ადგილობრივ გაეცნოს მდგომარეობას.

კომისიაში შედის ისეთი ცნობილი თეორეტიკოსი საერთაშორისო სოციალიზმისა, როგორიც არის კარლ კაუცკი.

კაუცკის არა ერთხელ გამოუთქვამს თავის აზრი რუსეთის კომუნიზმის შესახებ. ჯერ კიდევ ბოლშევიკების გაბატონების პირველ ხანებში ის გადაჭრით ამტკიცებდა, რომ ჩამორჩენილი რუსეთი სამოქალაქო ომის გავლენით ეკონომიურ დაღუპვისაკენ მიექანება.

მეორე თავის წერილში „ეროვნული კრება და საბჭოთა ყრილობა" ის მკაცრათ ილაშქრებდა საბჭოზე ძალა-უფლების გადაცემის წინააღმდეგ. თუ პოლიტიკური რევოლიუცია, სწერდა ის, ვერ სცდება ნგრევას და ღელვას, სოციალური რევოლიუცია პირველ რიგში აყენებს წარმოების პროცესის წესიერ მსვლელობას. მისი გამარჯვება ერთადერთ შეკავშირებული და დამოკიდებულია წესრიგზე და ახალი რეჟიმის სიმტკიცის საფუძვლიანობაში. და რადგანაც ამ სიმტკიცის საუკეთესო გარანტია ეროვნული კრებაა, რომელსაც შეუძლია გამოიყვანოს ქვეყანა გარდამავალი ხანიდგან. ამიტომ ეროვნული კრება არის ეკონომიური აუცილებლობა.

სიწყნარე და წესრიგის დამყარება—ეს არის უმთავრესი პირობაა. საზოგადოებრივი წარმოების ყოველგვარი სისტემის გასავითარებლათ. ბოლშევიზმი უარ-ჰყოფს ყოველივე ამას და მით ძირს უთხრის საწარმოო ძალთა განვითარებას. მთელი ბიუროკრატია რუსეთის სინამდვილისა პირველ ყოვლისა იმაშია, რომ იქ გამეფებული სისტემა სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებისა მუდამ კონფლიქტშია საწარმოო ძალების ინტერესებთან. ეს წინააღმდეგობა იმდენათ აშკარაა, რომ ეჭვი არაა ის კომისიის უმთავრეს ყურადღებას მიიპყრობს. დიქტატურა თუ ხალხის მმართველობა, სამოქალაქო ომი თუ სამოქალაქო ზავე—აი ის კითხვები, რომელსაც ასე მკაცრათ აყენებს ბოლშევიზმის რეჟიმი.

ბოლშევიკების პრესამ კომისიის წინააღმდეგ დიდი განგაში აუტეხა და კომისიის უფრო ავტორიტეტული წევრი, კაუცკი, წინდაწინ სოციალიზმის მოღალატეთ გამოაცხადა.

კომისიის აზრს ღირსეულ დასკვნას შეიძლება არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოყვება იმ მხრით, რომ ბოლშევიკებმა თავის უფლებაში, ქვეყნის გამანადგურებელი და სოციალიზმის სახელის გამტეხი ტაქტიკა შეიცვალონ. მარა ეჭვი არაა მათ კომპეტენტური დასკვნა-შეხედულებას რუსეთის საქმეზე დიდი მნიშვნელობა ექნება ევროპის სოციალისტურ წრეებისათვის, საშუალებას მისცემს მათ იქონიონ სწორი წარმოდგენა რუსეთის ვითარებაზე და ასე ხელს შეუწყობს ბოლშევიკების მიერ დამცირებულ-დამახინჯებულ სოციალიზმის იდეის ისევ თავის სიმაღლეზე აყვანას.

განი.

პრესა

„აშხატავორი" (№ 87) ეხება მაწინავე წერილში დაპატ. მოხელეთა ციხიდან განთავისუფლების საკითხს და სხვათა შორის შემდეგს სწერს:

„რამდენიოდე თვეა, რაც გათავდა სომეხ-ქართველთა ომი და მით გამოწვეულ საკითხებში გარკვეული შეთანხმებაც კი მოხდა, მაგრამ დაპატიმრებულნი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებიან. მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს მთავრობა შეპირდა სომხეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს ოფიციალურათ, რომ განთავისუფლებულნი იქნებიან დაპატიმრებულნიო. ეს დაპირება არა თუ არ შესრულებულა, პირიქით, ახალ დაპატიმრებასაც აქვს ადგილი ახალქალაქის და ბორჩალოს რაიონებში. საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭო უძრავად გახდა და სდუმს. ჩვენთვის ქართველ დემოკრატიისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს შეუძლიან მხოლოდ სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელს საქართველოში და მას ევალება ეს.

„არ შეიძლება დაშვება, რომ უდანაშაულო უწყინარი მოქალაქენი თვეობით იყვნენ დაპატიმრებულნი გამოუძიებლათ და უსამართლოთ".

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ დაშნაკელები კვლავ არ იშლიან თავიანთ მახინაციებს სომეხ-ქართველთა შორის უთანხმოების გამოსაწვევათ.

მათ კარგად იციან, რომ დაგვეთ ბოლნისის აჯანყებაში წილი უდევს თვით დაშნაკცაკანთა პარტიას, რომ იქ თფილისელი ხელი ტრიალებდა იმ სისხლიან დღეებში და სწორედ იმიტომ, რომ ეს არ გამოაშკარავდეს, გაურბის სასამართლოს და უნდა ლანძღვით გაიტანოს ლელო, მიჩქმალოს საქმე.

მაგრამ მეორე მხრით, არ შეგვიძლია არ მივმართოთ ჩვენს მთავრობასაც დაჟინებითი თხოვნით,—ნათელი მოჰფინოს ამ საკითხს, ბოლო მოუღოს ამ დაუსრულებელ ჭორებს უდანაშაულო ხალხის დაპატიმრების შესახებ.

ნუ თუ არ შეიძლება სინამდვილის გამოაშკარავება და გამოქვეყნება, რომ ასეთ თავდაუჯერელ პროვოკაციულ წერილებს გასავალი არ ჰქონდეს საზოგადოებაში?

ფერშლიზმის პრეტენზიები

ქვემოთ ჩვენ ვათავსებთ ფერშალ ვ. ხაათაშვილის წერილს ექიმ ლომოურის საპასუხოთ. უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ არ გვინდოდა ელემენტური წერილის დაბეჭდვა, მაგრამ დავუთმეთ ხაათაშვილის დაჟინებით მოთხოვნას, რადგან მას ჰგონია, რომ ექიმ ლომოურის წერილით ფერშლები „გალანძღულნი არიან. ასეთს შეხედულებას იზიარებს, ალბათ, თვით ფერშლების კავშირიც, ან როგორც საათაშვილი ამბობს, „ექიმის თანაშემწეთა კავშირი".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფერშლიზმის პრეტენზიებს ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო და ექიმ ლომოურის წერილიც სწორეთ კითხვის ამ მხარეს აქცევს ყურადღებას. ამიტომ ყოვლად უსაბუთოა საათაშვილის დებულება, ვითომ ლომოური იმიტომ ეწინააღმდეგება ფერშლებისათვის უფლებების მინიჭებას, რომ იგი, ლომოური, ექიმია. საათაშვილის დებულებიდან მკითხველს ასეთი დასკვნის გაკეთებაც შეუძლია. საათაშვილი იმიტომ იცავს ფერშლებისათვის ექიმის უფლებების მინიჭებას, რომ ის, საათაშვილი, ფერშალია. ჩვენ რომ საქმე გვქონდეს მხოლოდ საათაშვილთან დიდ ყურადღებას არ მივაქცევდით, მაგრამ ის, რასაც საათაშვილი სწერს, ამას წინეთ სიტყვა სიტყვით გაიმეორა პროფესიონალური კავშირების კონფერენციაზე ფერშალთა კავშირის წარმომადგენელმა.

ფერშალ საათაშვილს მოჰყავს ორ გვარი საბუთი: ერთის მხრით ის ეყრდნობა სხვა და სხვა ავტორიტეტების აზრებს, მეორე მხრით კი იმას, რომ ფერშლები მაინც ასრულებენ იმ საქმეს, რომლის დაკანონებას საათაშვილი თხოულობს.

საკითხის ასე დაყენება პირდაპირ გაუგებარია. რომელიმე საზოგადო მოღვაწის მიერ გამოთქმული ესა თუ ის აზრი არ შეიძლება მიღებულ იქნას უკრიტიკოთ, არამედ საჭიროა დაფასდეს ის გარემოების მიხედვით. ჩამოთვლილ ავტორიტეტებში ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორიტეტი პიროგოვია. მაგრამ საათაშვილმა უნდა იცოდეს, თუ როდის ცხოვრობდა პიროგოვი. მგონი ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიაშია აღნიშნული, რომ ერთის დროის თურმე იქ ფილოსოფიის კათედრა ეჭირა პრისტავს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ექიმობას ეწეოდენ დალაქები და თუ არ ვცდებით, თვით სიტყვა ფერშალი დაახლოვებით დალაქს უნდა ნიშნავდეს.

რაც შეეხება ფაქტს, მართალია არსებობს მეტად სამწუხარო და არა ნორმალური ფაქტი: ფერშლები დამოუკიდებლათ ეწევიან საექიმო პრაქტიკას და ბევრი ფერშალია ისეთი, რომელსაც სახლში აფთიაქიც კი აქვს და ქალაქის მსგავს პუნქტებში ამზადებს წამლებს. ჩვენ მეტიც ვიცით: საქართველოს ბევრი კუთხე მკითხავების ხელშია; ეს მკითხავები შელოცვასთან ერთად წამლობენ კიდეც ავათმყოფებს, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, ვითომ ამ საბუთით მკითხავების უფლებების დაკანონება იყოს საჭირო, ყოვლად შეუძლებელია.

ამით ჩვენ, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, ვითომ არც ერთი ფერშალი არ ვარგოდეს, ჩვენ გვწამს, რომ ფერშლებში მოიპოვება თითო-ოროლა პირი, რომელსაც გამოცდილებით და დაკვირვებით გაუფართოებია თავისი ცოდნა. ასეთი ფერშალი მაინც და მაინც არ ცდილობს პოპულიარობაზე, არც ექიმის თანაშემწის სახელს ეპოტინება და, როცა რთულ ავათმყოფობას წააწყდება, ყოველთვის გამოცდილ ექიმთან გზავნის ავათმყოფს. მაგრამ ეს მხოლოდ სინიდისის და რიგიანობის საქმეა. და როგორ შეიძლება ფერშლებს საერთოდ მიენიჭოს ის უფლებები, რომელსაც ისინი თხოულობენ. მიეცეთ კანონით ფერშალს, ვთქვათ, პატარა ოპერაციების გაკეთების უფლება, როგორც საათაშვილი სწერს, მერე ასეთი უფლება ხომ მოვალეობასაც გულისხმობს და როგორ აგებინებთ თქვენ პასუხს ფერშალს, როცა მისი „პატარა ოპერაციები". შეიძლება დიდი და სამწუხარო შედეგით დასრულდეს ავათმყოფისათვის. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს ვითომ ფერშალს არ უნდა მიეცეს ნება „კან ქვეშ წამლის შეშხაპუნების". შეშხაპუნება ადვილი საქმეა და დიდს შესწავლას არ ითხოვს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს შესაშხაპუნებელ წამლის თვისებას, მის დოზას და ავათმყოფის ორგანიზმს. ეს კი ისეთი რთული საქმეა, რომ ფერშალს მისი შესრულება არ შეუძლია, თუ ის არ გახდება ექიმი, მაგრამ ექიმად გადაკეთება ფერშლისა ისევე არ შეუძლია კანონს, როგორც ინგლისის ყოვლის შემძლე პარლამენტს არ შეუძლია დედაკაცის მამაკაცად გადაკეთება.

მაშასადამე მხოლოდ ერთად ერთი სწორი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: ფერშალს არ უნდა ჰქონდეს უფლება დამოუკიდებლათ აწარმოოს საექიმო პრაქტიკა, ის უნდა მუშაობდეს ექიმთან და ექიმის ხელმძღვანელობით.

ამ მხრით არსებულ კანონმდებლობას შეცვლა კი არ ესაჭიროება, არამედ ცხოვრებაში გატარება. დღეიდან ეს შესაძლებელია, რადგან ექიმების რიცხვი ჩვენში არც ისე მცირეა, თუ მათ საშუალება მიეცა მათ სოფლებში ცხოვრებისა, რაც ერობებმა უნდა იკისრონ. ერობები დანიშნავენ საერობო პუნქტებს, ამ პუნქტების სათავეში ჩააყენებენ ექიმებს და მათ დაუქვემდებარებენ ფერშლებს. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება შესრულება იმ კანონის, რომელიც ფერშალს დამოუკიდებელ პრაქტიკას უკრძალავს.

მაგრამ ერთი რამ დღესვე შესაძლებელი და საჭიროა: უნდა განდევნილ იქნან სოფლებიდან ეგრეთ წოდებული „როტის" ფერშლები, ე. ი. ის პირები, რომლებმაც ჯარში სამსახურის დროს ზოგიერთი ავათმყოფობის სახელი ისწავლეს და გაუნათლებელ ხალხს ატყუებენ და ყვლეფენ, ხოლო ექიმებს და საერთოდ ექიმობის საქმეს სახელს უტეხენ. ასე გვესმის ჩვენ ფერშლიზმი და ეს მარტივი აზრი უნდა გაიზიაროს აგრეთვე ყველა რიგიანმა ფერშალმა, უკეთუ ის დაბრმავებული არ იქნება პროფესიონალურ თავმოყვარეობით და ანგარიშის გრძნობით.

ფერშლების კავშირმაც ხელი უნდა აიღოს სახელმწიფოებრივ ხასიათის მოთხოვნილებების წამოყენებაზე. ეს აღემატება მის უფლებას და ძალას. საჭიროა მოხდეს შრომის განაწილება: პროფესიონალურმა კავშირმა ფერშლების იქნება ის, ექიმების თუ ინჟინრების, უნდა აკეთოს წმინდა პროფესიონალური საქმე, სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციებმა კი სახელმწიფო საქმეები.

სახალ. უნივერსიტეტი და მისი დანიშნულება

სახალხო უნივერსიტეტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშა ხალხისათვის კერძოდ, და ყველა მოქალაქისათვის—საზოგადოდ.

ეს კათედრა—სახალხო უნივერსიტეტი—ნამდვილი სკოლაა მუშა ხალხის აღსაზრდელად, გასავითარებლად; აქ მიიღებ ყველა იმ კითხვებზე პასუხს, რომელსაც ჩვენი დუხჭირი ცხოვრება აყენებს; აქ აშკარავდება და ნათელი ეფინება იმ უსამართლობას, იმ ბოროტმოქმედებას, რომელსაც ასე დიდი გასავალი აქვს ჩვენს ცხოვრებაში; აქ მოისმენ კითხვა-პასუხს ბუნების მოვლენის შესახებ და სხ.

სახალხო უნივერსიტეტი—ეს თვალის ახელაა, სიმართლის დანახვაა.

ამიტომაც იყო, რომ თვითმპყრობელობის დროს მუშა ხალხისთვის, დემოკრატიისათვის სახალხო უნივერსიტეტის კარები დახშული იყო.

როგორც მკითხველს მოეხსენება თფილისში უკვე არსებობს ასეთი უნივერსიტეტი. ჩვენდა საბედნიეროდ, სახალხო უნივერსიტეტების მოთხოვნილება ჩვენს დემოკრატიაში დიდია. ამიტომ სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურმა გამგეობამ ყველა შესანიშნავ მუშათა უბნებში თავისი განყოფილებები გახსნა. ამ ჟამად თფილისში ექვსი თუ შვიდი განყოფილებაა გახსნილი. ყველა განყოფილებებში მუშათა აუდიტორიაა და დიდის გულმოდგინებით უსმენენ ლექტორებს, აღსანიშნავია, ნაძალადევის შემდეგ, ჩუღურეთის და ერთობის უბნის მსმენელთა მიმზიდველობა ლექციებისადმი: ლექციები ყოველთვის მრავალრიცხოვანია.

სამწუხაროდ, ისეთ უბანში, როგორიც არის ვერა, სადაც შედის სამი სამილიციო უბანი, ჯერ სახალხო უნივერსიტეტი არ არის დაარსებული. მართალია ამ მოვლენას შეიძლება აქვს თავისი მიზეზები, მაგრამ ასეთი დიდი უბნის დემოსის უნივერსიტეტით დატოვება დიდ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს.

ამ ბოლო დროს, რაც მეოთხე რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივი ახალ ბინაზე გადავიდა—მან გადასწყვიტა სახალხო უნივერსიტეტის გახსნა ვერაზე. ამ მიზნით კოლექტივმა მიმართა სახ. უნივერსიტ. ცენტრალურ გამგეობას, რომელიც დიდის თანაგრძნობით შეხვდა. და აღუთქვა 5 მაისისათვის უნივერსიტეტის გახსნას. ჩვენდა სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ამ დღეს უნივერსიტეტი ვერ გაიხსნა. იგი გადაიდო 7 მაისისათვის. ამ დღეს იგი უსათუოდ გაიხსნება. ამიტომ, საჭიროა, ჩვენმა შეგნებულმა მუშებმა ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

მიხ. თამაზაშვილი.

მესხეთ-ჯავახეთისათვის

თხოვნა

მესხეთ-ჯავახეთის აწინდელი მდგომარეობა საშინელ სურათს წარმოადგენს: ხალხი იხოცება შიმშილით და სხვადასხვა სენით. შიშველ-ტიტველნი მესხ-ჯავახნი, ვით ტყის ნადირნი, ველად ეძებენ საკვებს. მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი 9 და 10 მაისს მართავს „მესხეთ ჯავახეთის დღეს"—ამ დღეს გაიმართება ქ. თფილისში სეირნობები და ყულაბებით ფულის შეგროვება.

კომიტეტი მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ ყურად იღოს მესხეთ-ჯავახეთის აუტანელი მდგომარეობა და დახმარება აღმოუჩინოს კომიტეტს, ვისაც რით შეუძლია.

მესხეთ-ჯავახ. დამხმარე კომიტეტი.

ქალაქ ოზურგეთში 27 აპრილს მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებთა სასარგებლოთ გამართულ საღამოდან შემოვიდა 1069 მან. ყულაბებით 1740 მან. 67 კ. სულ საღამოდან და ყულაბებით 2809 მან. 67 კ. ამაში ერთი მანეთი და შვიდი შაური ვერცხლის ფულია. ვინაიდან ყველა ამ საღამოზე მონაწილეებმა უარი სთქვეს სასყიდელზე და სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა საღამოს მოწყობაზე, არავითარი ხარჯი არ მოგვსვლია და ამიტომ ეს თანხა სრულიად იგზავნება ცენტრალურ კომიტეტში.

ამასთანავე საღამოს მომწყობი კომიტეტი უღრმეს მადლობას სწირავს: ილია ფერაძეს, აპ. წულაძეს, გ. გოგიტიძეს, სამს. ხურცაძეს, ალექსანდრე კალატოზიშვილს, ელენე გოგოლიშვილს, სონა კვაშლისას, ევგენია მამულაიშვილს, კატო ჯაყელს, ტერეზა თოხაძეს, ანეტა გიგოლაშვილს, თამარ ხუნდაძეს, ოლია ცეცხლაძეს, მარო ქადიეშვილს, ნინა ლომთათიძეს, კლუნია ჩხარაძეს, შუშანა თოთიბაძეს და სხვებს, რომლებმაც პირადი მონაწილეობით, თეატრის უფასო დათმობით, აფიშების და პლაკატების უსასყიდლოთ დაბეჭდვით და ყულაბებით ჩამოვლით, ხელი შეუწყვეს საღამოს სასურველად მოწყობას.

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე ოზურგეთის კომიტეტის თავმჯდომარე ხ. ცხომელიძე. მდივანი ნ. დოლიძე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

6 მაისი

იტალიის პრესის ცნობები.

რიო-დე ჟანეიროში იტალიელებმა დიდი დემონსტრაციები გამართეს იტალიის მთავრობისთვის თანაგრძნობის გამოსახატავათ იტალიის ეროვნულ საკუთრების დაბრუნების საკითხის გამო, პროცესია მუსიკით და გაშლილი დროშებით გაემართა იტალიის საკონსულოსაკენ, სადაც სიტყვები წარმოითქვა და იტალიის წარმომადგენელს აღფრთოვანებული ხალხი მიესალმა. ბრაზილიის ყველა კუთხის იტალიელთა ახალშენებიდან ასეთივე ცნობები მოდის.

ვარშავაში სეიმმა კმაყოფილება გამოსთქვა ვილნის და გროდნოს პოლონეთთან შეერთების გამო.

ტრიესტში მაისის 1-ის დღესასწაულმა წყნარათ ჩაიარა. მოხდა მხოლოდ ეროვნული ხასიათის მანიფესტაციები.

ბუენოს აირესშიაც დიდი პატრიოტული მანიფესტაციები გაიმართა.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ ჩეხოსლოვაკებმა სლოვაკეთის და სამხრეთის სლოვენთა მთავრობებს აუწყა, რომ უნგრეთი შესაძლებლათ სცნობს მათ დაუბრუნოს საკამათო ადგილები; საჭიროა საომარი მოქმედების შეწყვეტა.

ინგლისური პრესის ცნობები.

საზავო კონფერენციაზე აღიძრა საკითხი იმის შესახებ, იტალია იყოს თუ არა მეხუთე დიდ სახელმწიფოთ. იტალიამ არ მოისურვა საზავო ხელშეკრულ-

დღეს

ახლო ხანში მოკავშირენი მეგობრულად მიმართავენ იტალიას, რათა ის დაუბრუნდეს საზავო კონფერენციას მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.

ამერიკაში სხვადასხვა ადგილას იტალიის სასარგებლო მანიფესტაციები იმართება.

ავსტრიის წარმომადგენელნი მიწვეული იქნებიან საზავო კონფერენციაზე მაისის შუა რიცხვებში.

რუმინელები მდ. ტისამდე მივიდნენ. ამის გამო ბუდაპეშტში შიშიანობაა. საბჭოთა სხდომაზე ბელა კუნმა განაცხადა: ჩვენ ძალა შეგვწევს ვებრძოლოთ რუმინელებს საბჭოთა უნგრეთის უზრუნველსაყოფადო.

უკრაინის საგარეო საქმეთა კომისარმა ულტიმატუმი გაუგზავნა რუმინიის მთავრობას ბუკოვინის დაცლის შესახებ.

ამსტერდამის საერთაშორისო კონფერენციაზე რენოდელმა განაცხადა, რომ ის მოხარული იქნებოდა, თუ გერმანია არ მოაწერდა ხელს საზავო ხელშეკრულობას

ფინეთის ჯარების შემოტევის გამო პეტროგრადი საფრთხეშია.

ბრემენში საერთო გაფიცვები დამთავრდა. მიუნქენის გარშემო ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. გერმანიის საერო კრება ვეიმარიდან ბერლინში გადადის.

ლების მოწერა, მაგრამ აქვს სურვილი, შეინარჩუნოს წინანდელი ადგილი იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთა ხელში ამ ჟამათ არის ქვეყნის ბედი. ეს გარემოება აიძულებს იტალიას მიიღოს მოწვევა და დაბრუნდეს საზავო კონფერენციაზე. საზავო ხელშეკრულებაში ხშირად იხსენიება 5 დიდი სახელმწიფო, როგორც მრავალი საკითხის გადამწყვეტი უმაღლესი ავტორიტეტი; იტალიის გათიშვის შემდეგ კი გარემოება უნდა შეცვლილიყო და დარჩებოდა 4 სახელმწიფო. გერმანელების ახალშენების საკითხიც აგრეთვე დიდმა სახელმწიფოებმა უნდა გადასწყვიტონ, ასე რომ, იტალიის გათიშვა საშუალებასართმევს მას რაიმე მონაწილეობა მიიღოს ამ საკითხის გადაწყვეტაში. ხელშეკრულება უკვე იბეჭდება, გარდა ზოგიერთ წვრილმანებისა, რომელთა გადახედვა შეიძლება ხელშეკრულების დაბეჭდვის შემდეგ. რადგანაც იტალიის პოზიცია გამორკვეული არ იყო, დაამზადეს ხელშეკრულების 2 ვარიანტი: ერთში იტალიაც იღებს მონაწილეობას, მეორეში—არა. ეს ორივე ფორმა ხელშეკრულების ტექსტთან ერთად ხვალ უკვე დაბეჭდილი იქნება.

ამერიკის დელეგაციის წევრებს ვილსონმა განუცხადა, გერმანელებს საზავო ხელშეკრულებას ალბათ სამშაბათს დღისით წარუდგენენო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს არ მოხდება, რათა იტალიას საშუალება მიეცეს დაბრუნებისა და განიხილონ დანარჩენი საკითხები განსაკუთრებით ბელგიის საკითხი. ხელშეკრულების დაბეჭდილი ტექსტი არ შეიცავს ომის დაწყებისთვის კაიზერისა და სხვათა პასუხისმგებლობას, თუმცა შესაძლებელია ეს შემდეგ ჩაურთონ.

ხალხთა ლიგის აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომა ხვალ შესდგება, შეერთებულ შტატების წარმომადგენლათ იქნება ვილსონი ან ხაუზი, ინგლისის სესილი, საფრანგეთის პიშონი, საბერძნეთის ვენიზელოსი, ესპანიის ელჩი, ბრაზილიის პესოა. იტალიას წარმომადგენელი არა ჰყავს, ლიგის ორგანიზაციის საკითხს მრავალი კომიტეტი იხილავს და იმუშავებენ გეგმას ხალხთა ლიგის სხდომისას რომელიც ვაშინგტონში მოხდება ოქტომბერში. პრეზიდენტის მახლობელი პირები ამბობენ, რომ ივლისისთვის დანიშნულია კონგრესის ცალკე სესიის სხდომა.

ავსტრიასთან მოლაპარაკების ვადას დაუყოვნებლივ დანიშნავენ, როგორც კი ხელშეკრულებას გადასცემენ გერმანელებს, რაც იტალიასაც უნდა ეუწყოს. ავსტრიის წარმომადგენელთა ჩამოსვლას მაისის შუა რიცხვებში მოელიან. საფრანგეთის მთავრობამ ზომები მიიღო, რომ მათთვის ბინა დაამზადონ სენ-ჟერმენში. საკითხი იმის შესახებ, მისცემენ თუ არა უნგრეთსაც წინადადებას ზავის შეკვრაში მონაწილეობისთვის, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ დასრულდება უნგრეთში მომხდარი მღელვარება და უწესოება. ავსტრიასთან მოლაპარაკებას ვენის მთავრობის საშუალებით აწარმოებენ, ამბობენ, რომ ავსტრიასთან დასადები ხელშეკრულება შედარებით მარტივი იქნება. უმთავრესი მასში იქნება, ყოფილ ავსტრიის ტერიტორიაზე აღმოცენებული სახელმწიფოთა საზღვრების აღნიშვნა. შემდეგ დადებენ ხელშეკრულებას ბულგარეთთან და ოსმალეთთან. თუმცა ამის ვადა ჯერ დანიშნული არ არის.

პარიზში მოელიან, რომ მოკლე ხანში დაიბარებენ ავსტრიის და უნგრეთის წარმომადგენლებს და მეგობრულათ მიმართავენ იტალიას დაბრუნდეს საზავო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.

ცნობებია, რომ გერმანიის კაბელები მოკავშირეთა შორის იქნება განაწილებული.

საფრანგეთიდან იუწყებიან, რომ საზავო ხელშეკრულების პირობები ძალიან აძნელებს ავსტრიის გერმანიასთან შეკავშირებას და აგრეთვე შეუძლებლად ხდის, რომ გერმანიას და რუსეთს საერთო პოლიტიკური და სავაჭრო ინტერესები ქონდეს.

ჩინეთის დელეგაციამ დღევანდელ მოხსენებაში აღნიშნა, რომ ჩინეთს არ მოსწონს სამთა საბჭოს წინადადება შანდუნის შესახებ. დელეგაცია ფიქრობს, რომ ამის მიზეზი იქნება 1914 წლის მარტში დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთ შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება. არც ერთ ამ საიდუმლო შეთანხმებაში ჩინეთს მონაწილეობა არ მიუღია და მათი შინაარსიც არ აუწყეს ჩინეთს, როცა ის გერმანიის წინააღმდეგ გამოვიდა". მოხსენებაში, შემდეგ ნათქვამია, რომ ჩინეთის ბედს ისე სწყვეტდნენ, რომ კომპენსაციები ქონდათ სახეში. ჩინეთი კი აშკარად მოკავშირეთა მხარეზე გადავიდა და არა ეგონა, რომ იაპონელთა მოთხოვნილებანი ვილსონის პროგრამის 14 პუნქტს შეეფერებოდესო. თუ სამთა საბჭომ გამოარკვია ფიუმეს საკითხი, მით უმეტეს საფუძვლიანი იყო ჩინეთის მოთხოვნილებანი შანდუნის შესახებ.

დიდი ხნის შეწყვეტის შემდეგ, რუსეთიდან დეპეშები მოვიდა, რომელიც აღნიშნავენ რუსეთში მდგომარეობის არსებითად გამოცვლას, კოლჩაკის და იუდენიჩის შეტევასთან ერთად დაიწყო მოსკოვის და პეტროგრადის დაცლა. ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედება ყველგან კარგათ მიდის, ესევე ითქმის რუმინიის ფრონტის შესახებ, სადაც რუმინიის ჯარი ავიწროებს უნგრეთის ბოლშევიკებს. ფინელები არხანგელსკიდან მოკავშირეთა ჯარს შეუერთდნენ და შეტევას განაგრძობენ. ჯერ არ არის საშუალება შემოწმდეს ეს ცნობები, რომელიც უცნობ წყაროებიდან არის მოსული.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი, მაისის 5. ნაუენი, მაისის 4. გერმანიის დამფუძნებელ კრებას მომავალ კვირაში ვეიმარიდან ბერლინში გადაიტანენ. საზავო, საბიუჯეტო და საკონსტიტუციო კომისიები მაისის 1-დან უკვე ბერლინში იმყოფებიან. პარიზი, მაისის 4. ბერნში ლიტვის ბიუროს ცნობით ლიტვის მთავრობამ ვარშავაში დიპლომატიური მისია გაგზავნა იმ დავალებით, რომ მოაწესრიგოს პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულება. მოსკოვი დღეს გაიხსნა საბჭოთა ჟურნალისტების მეორე ყრილობა. ნაუენი, მაის. 3. აღმოსავლეთის და დასავლეთის რაზმებმა დაიჭირეს ნაწილები ხაზი მიუნქენის გარემოცვის მიზნით. ზინენშტრასეს მოედანი, მეზღვაურთა მოედანი, დიპერტენსტრასე და საყაზარმო კუთხე სპარტაკელების ხელშია. მიუნქენის აღმოსავლეთის სადგურზე ჯავშნიანი მატარებელი მთავრობის ჯარით მოვიდა. ლუბლინგი დაიჭირეს. პეტერბურგი, მაის. 4. პეტერბურგის საბჭოს სხდომა გახსნა ზინოვიევმა, რომელმაც დაახასიათა საზოგადო მდგომარეობა და სთქვა: არამც თუ ფრონტზე, ზურგშიაც უნდა იქნეს მიღებული შესაფერი ზომები. ზურგში ბევრი შხამიანი გველია. მხოლოდ დღეს დილით ესროლეს ჩვენ ამხანაგ გრიგორიევს, რომელსაც ის სამორიგეოთ მიდიოდა, შემდეგ მკვლელები გაერეკებოდნენ ტელეფონს და სხვა პასუხისმგებელ მომუშავეებს სიკვდილით ემუქრებოდნენ. ჩვენ ამის წინააღმდეგ უნდა მივიღოთ გადამწყვეტილი ზომები და შევქმნათ ისეთი რეჟიმი, რომლის დროსაც მუშების ასი თვალი თვალყურს უნდა ადევნებდეს თითეულს. ჩვენ უნდა შევიარაღდეთ. მოწინააღმდეგე გაგვისწორდება ჩვენ იმ შემთხვევაში, თუ დავიბენით და ხროვათ გადავიქეცით. თუ ჩვენ შევინარჩუნეთ დისციპლინა და ორგანიზაცია, მაშინ ჩვენთვის არც ერთი მტერი საშიში არ იქნება. მოსკოვი. მაისის 4. მაისის 2 მთელი დღე ბრძოლა გრძელდებოდა. აპრილის 30 მიუნქენში კომუნისტებმა ჰოფმანის მთავრობას აცნობეს, რომ შესწყვეტენ სამხედრო მოქმედებას იმ პირობით, თუ ჰოფმანის მთავრობა მიუნქენს არ დაიჭერს. ჰოფმანის მთავრობამ უპასუხა, რომ ეს პირობა მიუღებელია. მოსკოვი, მაისის 4. ზინოვიევმა პეტერბურგის საალყო წესები შეადარა პარიზის საალყო წესებს და სთქვა: პარიზი სულით და გულით ჩვენსკენ იწევს. მთელი ქვეყნის მუშები ჩვენ დასახმარებლათ მოდის. ჩვენ მხოლოდ ფინელები დაგვრჩა დაუმარცხებელი, მაგრამ ისინი საშიში არ არიან. ფინეთი ვერ დაამარცხებს საბჭოთა რუსეთს. ფინეთში ჩვენ მრავალი მეგობრები გვყავს ფინეთის პროლეტართა შორის, ისინი ჩვენ მხარეზე არიან და ჩვენ გვეხმარებიან. ჯერ კიდევ ენახავთ, ვის მხარეზე იქნება გამარჯვება. უშიშარი უნდა გავხადოთ თეთრგვარდიელები და ფინეთის მგელი მანერგეიმი გავაგდოთ. პეტერბურგის პროლეტარიატის მშრომელი და შეგნებული ნაწილის მობილიზაცია უნდა მოეხდინოთ და ფრონტზე დავიწყოთ მუშაობა. ჩვენ უნდა ყველას ვუჩვენოთ, რომ მოახლოვებულია საბოლოო გამარჯვების დღე". მოსკოვიდან ჩამოსულმა შმიდტმა მისალმების სიტყვა წარმოსთქვა. მოსკოვმა გადასწყვიტა კოლჩაკთან ბრძოლა ბოლომდის მიიყვანოს. წითელმა პეტროგრადმა, მისმა მაგალითმა და წარსულში მისმა გამოცდილებამ აქ დიდი როლი ითამაშა. ჩვენ ეხლა ერთი ერთეული ვართ—ერთი საბჭოთა რუსეთი. ჩვენ გვწამს, რომ იმ მომენტში, როცა ჩვენი ძალა იზრდება, ჩვენი დამარცხება შეუძლებელია. „მუშებო, წითელო ჯარისკაცებო, მუშა-ქალებო და მშრომელო ხალხო! წითელ პეტროგრადს საფრთხე მოელის. ფინეთის თეთრ გვარდიელებს სურთ აიღონ ჩვენი ქალაქი...(გაფუჭებულია). ბუდაპეშტი, მაისის 3. ბუდაპეშტის საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ბელა კუნმა სთქვა, რომ სამხედრო მდგომარეობა გაუარესდა, მაგრამ ის არ კარგავს იმედს, რადგან კაპიტალიზმის საშინელება აიძულებს პროლეტარიატს თავისუფლება ეძიოს. მან განაცხადა, რომ ბუდაპეშტში იმდენი იარაღია, რომ 15 ბატალიონის შეიარაღება შეიძლება. იმის კითხვაზე, ასეთ პირობებში უნდა იბრძოლონ თუ არა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე პროლეტარიატის დიქტატურისთვის, ყრილობამ აღფრთოვანებით უპასუხა: „ბრძოლა, ბრძოლა"! საგარეო პოლიტიკის შესახებ ბელა კუნმა სთქვა: თუ მოკავშირეებს სურთ გაგვანადგურონ და ჩვენს ქვეყანაში ჩაახრჩონ ბოლშევიზმი, დაე, სცადონ ეს. მე კიდევ იმედი მაქვს, რომ შესაძლებელია ისეთი ზავი, რომელიც ამოსუნთქვის საშუალებას მოგვცემს. სახალხო კომისარმა ვენსიგენმა გვაუწყა, რომ რუმინელები სოლნოკიდან წინ მიიწევენ, მაგრამ მთავრობა მათ ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევს. ბოლოს ბელა კუნმა სთქვა: მე არავითარ შემთხვევაში არ მოვისურვებ, რომ საბჭოთა ბუდაპეშტის დაცვაზე უარი ვსთქვა. ჩვენი ფრონტი ბუდაპეშტში კი არაა მდ. ტისაზე. ჩვენ სურსათი და იარაღი საკმაოთ გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია ვიბრძოლოთ რუმინელებთან საბჭოთა უნგრეთის უზრუნველსაყოფათ და საპატიო ზავის მოსაპოვებლათ. ბუდაპეშტი. მაისის 4. მუშათა საბჭოს გუშინდელი დადგენილება დიდის აღფრთოვანებით მიიღეს. მუშებმა მოაწყვეს მიტინგები, რომელზედაც შეიარაღება და ფრონტზე წასვლა გადასწყვიტეს. მიუხედავათ იმისა, რომ წინადადება იყო მოხდეს მობილიზაცია 18—42 წლ. მუშებმა გადასწყვიტეს, კომუნისტური წესრიგის დასაცავათ გაიწვიონ 50 წლამდე. მრავალ ქარხნებიდან მუშები პირდაპირ ყაზარმებისაკენ გაემართნენ, სადაც იარაღს მიიღებს. კიევი, მაისის 4. უკრაინის რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო განმტკიცდა. საბჭოში შედიან: სახალხო კომისართა თავმჯდომარე რაკოვსკი, სამხედრო საქმეთა კომისარი პოდვოისკი და ც. კ. წარმომადგენლები. კიევი, მაისის 3. უკრაინის სამხედრო ცნობა. წითელმა ჯარმა შეპეტოვკა დაიჭირა. მოწინააღმდეგე თავგანწირულად იბრძოდა. შეპეტოვკის სამხრეთით ჩვენ რამოდენიმე დაბა დავიჭირეთ. რკინის გზის მოსამსახურეთა სიტყვით პეტლიურა და დირექტორიის სხვა წევრები როვნოში დაატყვევეს, მაგრამ გაიქცნენ. როვნოში პეტლიურას მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლაა. კიევი, მაისის 4. უცხოელთა ოლქებს, რომელთაც არ მიუღიათ თავის მთავრობისაგან პასუხი, ან კიდევ უარყოფითი პასუხი მიიღეს უკრაინის საბჭოთა მთავრობის ბრძანებაზე, წინადადება მისცეს ელჩებს 8 დღის განმავლობაში უკრაინა დასტოვონ. ბუდაპეშტი, მაისის 3. ბუდაპეშტის საბჭოს რევოლუციონურმა გადაწყვეტილებამ აღფრთოვანებაში მოიყვანა ფრონტის ჯარი, რომელმაც ნამდვილი პროლეტარულ აღფრთოვანებით დაიწყო შეტევა: მკაცრი ბრძოლის შემდეგ ქალაქი სოლნოკი უკანვე დავიბრუნეთ, მოწინააღმდეგე უკუ ვაქციეთ მდ. ტისას იქითა მხარეზე. პროლეტარიატის ჯარმა ახალი პოზიცია დაიჭირა, ხელთ ჩაიგდო 5 ზარბაზანი, ბევრი ტყვიის მფრქვეველები და ბევრი ტყვეთ წამოიყვანეს. ფრონტიდან მოსულმა სასიამოვნო ცნობამ აღფრთოვანება გამოიწვია ბუდაპეშტში, სადაც მუშების ბატალიონები სასწრაფოთ სდგება და ფრონტზე იგზავნება. ლიონი, მაისის 4. ციურიხიდან მოსული ცნობით, მიუხედავათ აკრძალვისა გერმანიის მრავალ კაპიტალისტებს, განსაკუთრებით კი ვინც ომის დროს გამდიდრდა, ფული საზღვარ-გარეთ გააქვთ. უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში 35 მილიარდი მარკაა შეტანილი შვეიცარიის სხვადასხვა ბანკებში. პარიზი, მაისის 4. ამერიკის ფინანსიურმა დელეგატებმა უარყვეს ინგლისელების გეგმა გერმანიის ბონების ამერიკაში განაღდებისა. ამერიკის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ამერიკა ევროპას დახმარებას აღმოუჩენს სესხების სახით. მოსკოვი. მაისის 4. გუშინ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა რადიო, რომელშიაც სთხოვს, შეატყობინოს სად იმყოფება ამ ჟამათ საფრანგეთის გემი სამშობლოში სადაბრუნებელ რუსეთის მოქალაქეებით. ჩიჩერინი მოითხოვს გზიდავე აცდინოს ყოველივე დაბრკოლებები მათ სამშობლოში დასაბრუნებლათ. ნაუენი. მაის. 4. ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის სხდომაზე რენოდელმა სთქვა, რომ მისი სურვილი იქნებოდა, გერმანიას არ მიეღო ზავის პირობები, რომელიც ერთობ მძიმეა. კიევი. მაის. 4. საგარეო საქმეთა კომისარმა რაკოვსკიმ რუმინიის მთავრობას ულტიმატუმი გაუგზავნა, რომ რუმინელებმა ბუკოვინა დასცალონ. პასუხის ვადა 24 საათითაა განსაზღვრული. სამხედრო კომისარი პოდვოისკი იუწყება, რომ ბუდაპეშტის რესპუბლიკის გასანადგურებლათ დაწყებული რუმინელების და ჩეხების შემოტევამ უკრაინის გლეხთა რესპუბლიკა აიძულა ულტიმატუმი წარედგინა რუმინიის მთავრობისათვის. ბუდაპეშტი. მაის. 4. ბუდაპეშტის საბჭომ მტკიცედ გადასწყვიტა, რომ უმჯობესია იარაღით ხელში სახელოვნად მოკვდეს, ვიდრე რევოლუციის გაცემით მოპოვებული და ღირსების ამყრალ ზავს დათანხმდეს. ცენტრალურ საბჭოს სხდომაზე დაუფარავად დაახასიათა მდგომარეობა ფრონტებზე. საკითხი იმაშია, სურს თუ არა ბუდაპეშტის პროლეტარიატს იბრძოლოს დიქტატურის შესანარჩუნებლად. ლამაზი სიტყვები და ოვაციები საქმეს ვერ გამოასწორებს, საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა უკანასკნელ საშუალებამდე. შემდეგ ბელა კუნმა სხდომას აუწყა, რომ რევოლუციონურ საბჭოთა მთავრობას სურს ზავის მოპოვება, როგორც თავის დროზე ამას რუსები ცდილობდნენ ბრესტ ლიტოვსკში, სულის ამოსათქმელათ. ბუდაპეშტის დაცვას მსოფლიო რევოლუციის ინტერესები მოითხოვს. დეპუტატმა გაუბრიხმა განაცხადა, რომ დილის 8 საათზე ფრონტზე მიდის მშვენივრად მოწყობილი და შეიარაღებული მუშათა 18 ბატალიონი და წინადადებას აძლევს დელეგატებს ჩადგნენ მათ შორის. დიდი ოვაციების შემდეგ ბელა კუნმა დიდი აღფრთოვანებით მოუწოდა ყველას იარაღი აიღონ ხელში. ამ მოწოდებამ დიდი ნაყოფი გამოიღო. დღეს ბუდაპეშტი ერთ მთლიან ყაზარმას წარმოადგენს და ყველა ვარჯიშობს.

გერმანული ბაზრის ცნობები.

ლეიპციგის იარმუკამ ისე ჩაიარა, რომ სპარტაკელების გამოსვლებს ადგილი არ ქონია. გამოფენა საინტერესო როგორც რიცხვით, ისე გამოფენილი საქონლების თვისებით; დაამტკიცა, რომ გერმანიის ინდუსტრიამ და გერმანიის გამოგონებამ მრეწველობის სფეროში შეხვედრილ დაბრკოლებებს სძლია. მიუხედავათ იმისა, რომ მრავალი საქონელი გაკეთებული იყო სუროგატისაგან, მაინც არ იყო დარღვეული პრინციპი პირველი ხარისხის საქონლის გამოფენისა. ყიდვა ხდებოდა განსაზღვრულ ფარგლებში, რადგან მყიდველები ფიქრობენ, რომ ეხლანდელი ძვირი ფასები დაეცემა. განსაკუთრებით მდიდარია იტალიის მექოთნეთა გამოფენილი საქონლის და აგრეთვე ალიუმინის და სათამაშოების განყოფილება. მანქანების გამოფენა არ იყო მაინც და მაინც მდიდარი. ტყავის და ქსოვილთა ნაწილი ღარიბია დასამუშავებელი მასალის სიმცირის გამო.

პროვინციაში

შთაბეჭდილებანი

2 *)

პირველ წერილში მე მქონდა უკვე ლაპარაკი იმ სენზე, რომელმაც მოიცვა მთელი ჩვენი რესპუბლიკა, მთელი ჩვენი პროვინცია. მე ვწერდი, რომ სპეკულიაციას ჩაუბამს თავის ფერხულში ისეთი პირებიც, როგორიც არიან, მაგალითად, მასწავლებელი, მოსამართლე, მოხელე, ჟურნალისტი, ახალგაზრდა ქალიშვილი, მოხუცებული მანდილოსანი და, რაც მეტად სამწუხაროა, მოწაფეები, ბავშვებიც კი.

ამის გამო მე მომივიდა წერილი ერთი ჩემთვის სრულიად უცნობ პირისაგან, რომელიც, როგორც სჩანს მის წერილიდან, მასწავლებელი უნდა იყოს. ის უკმაყოფილოა იმით, რომ წერილი მის „პიროვნებას (?!) ეხება" და მოყავს გასამართლებელი საბუთები. ეს საბუთები არ არის საინტერესო, მაგრამ საინტერესო და სასაცილოა, რომ სრულიად ჩემთვის უცნობი პირი, რომელიც თვალითაც არ მინახავს, თავის თავზე იღებს ჩემს შენიშვნას და უკმაყოფილებას გამოსთქვამს, ეს შეურაცხყოფაა.

გოგოლმა მართალი სთქვა:

ჩვენში რომ ერთ კოლლეჟსკი ასესორზე სთქვა რამე, ყველა კოლლეჟსკი ასესორები, რიგიდან დაწყებული კამჩატკამდე, თავის თავზე მიიღებენო. „ჩვენშიც" ასეა სამწუხაროთ.

მაგრამ revenons à nos moutons, როგორც იტყვიან ფრანგები, დავუბრუნდეთ ჩვენს ცხვრებს, ანუ სპეკულიანტებს, რომლებიც თავის გაღვიძებული და გაძლიერებული მადით უფრო მგლებს მოგაგონებენ, რა თქმა უნდა, ვიდრე ცხვრებს.

არასოდეს, მგონია, ამოდენა ხალხი არ მოგზაურობდა საქართველოს რკინის და შარა გზებზე, რამდენიც ეხლა, და ეს მიუხედავათ ტარიფის საგრძნობლათ გაძვირებისა. არაფერი არ აჩერებს თანამედროვე მგზავრს: არც ბილეთების გაძვირება, არც სივიწროვე ვაგონებში, არც სხვა ათასგვარი დაბრკოლებანი. თუ ვერ იშოვა ბილეთი, ის უბილეთოთ წავა, თუ ვაგონში ვერ მოეწყო, ის ვაგონის საბურავზე ავა, თუ დასაჯდომი ადგილი ვერ იშოვა ფეხზე დადგება, ან თავის თანამგზავრის მუხლებზე მოეწყობა.

თქვენ იკითხოთ შეიძლება: რათ ითმენს ამდენ დაბრკოლებებს თანამედროვე მგზავრი, რათ არ ეკარგება მას სურვილი მოგზაურობისა? საქმე იმაშია, რომ ყველა ამ დაბრკოლებებს ის ადვილათ იტანს, რადგანაც ბრწყინვალე პერსპექტივები მოელი: შაქრის, ფქვილის და სხ. კარგ ფასში გაყიდვა და მოგებული ფულით ახალი „კომბინაციის" მოწყობა, როგორც ამბობს ის თავის ჟარგონზე. (სპეკულიანტებს თავის ჟარგონი აქვთ და, როგორც დავინახავთ შემდეგ, თავის „იდეოლოგიაც") უმეტესი ნაწილი თანამედროვე მგზავრების ასე ვსთქვათ „ვაჭარი" ხალხია—ყიდულობენ და ყიდიან.

საქმე, რა თქმა უნდა, არ იცვლება იმით, რომ ზოგი ამ „ვაჭართაგანს"—სულ ნახევარი ფუთი შაქარი მოაქვს გასაყიდათ, ერთი ტომარა ფქვილი, ორი ინდაური და ერთი გოჭი. ეს წვრილი სპეკულიანტებია და სპეკულიაცია მათთვის არ არის გადაქცეული პროფესიათ, როგორც მსხვილი სპეკულიანტებისათვის, თუმცა შეიძლება მომავალში გადაიქცეს. სპეკულიაცია არის მათთვის, როგორც რუსები იტყვიან, „побочный заработокъ". მაგრამ მადა ჭამის დროს მოდის, და პატარა სპეკულიანტი „კარგი კომბინაციების" და „გამოცდილების" შემდეგ იზრდება დიდ სპეკულიანტათ და სპეკულიაცია მისთვის უკვე პროფესიათ ხდება...

ქუთაისიდან მოვდიოდი, ძლივს ვიშოვე ადგილი ვაგონში. ჩემს პირდაპირ იჯდა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელიც გარეგნობით და მიხვრა-მოხვრით ინსტიტუტში მოსწავლეს ჰგავდა, რადგანაც მას თავზე წითელი შლიაპა ეხურა, მე შემდეგში ვუწოდებ მას სახელის მაგიერ პირდაპირ „წითელ შლიაპას".

„შეიძლება თქვენ იცოდეთ, შემეკითხა „წითელი შლიაპა", რა ღირს შაქარი თფილისში". მე დავუკმაყოფილე მისი ცნობის მოყვარეობა. „ნუ თუ—სასოწარკვეთილების ხმით მითხრა მან—მე კი მეგონა უფრო ძვირი იყო". მე გამიკვირდა: „წითელ შლიაპას" აწუხებდა შაქრის სიიაფე, მაგრამ შემდეგ ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ახალგაზრდა ქალი, რომელიც მე მეგონა თფილისში მიემგზავრება ინსტიტუტში სწავლის დასამთავრებლათ, მიდიოდა იქ თურმე „სასპეკულიაციოთ" (გიმნაზია შარშან გავათავეო): ქუთაისიდან მოქონდა 35 გირვანქა (!) შაქარი და მეტად აწუხებდა შაქრის ბაზრის ფასი..

კუპეში იჯდნენ აგრეთვე ერთი პატივცემული მანდილოსანი და ყრმა პატივსაცემი „აზნაურიშვილი", რომელიც გიორგი წერეთლის ცნობილ კუდაბზიკას მოგვაგონებდათ, ამიტომ შემდეგში მას ვუწოდებთ პირდაპირ კუდაბზიკას. პატივცემულ მანდილოსანს მოქონდა თფილისში გასასყიდათ დაკლული ღორი, კუდაბზიკას კი ცოცხალი. მანდილოსანი ელოდა თავის ღორზე 2000 მან. (!) მოგებას და ამტკიცებდა, დაკლული ღორის წამოღება სჯობს, კუდაბზიკა კი მჭერმეტყველურათ უმტკიცებდა თავის „კოლეგას" ცოცხალი ღორის წამოყვანის უპირატესობას და ფიქრობდა 2500 მან. (!) მოგებას. საინტერესო გამართლდა სინამდვილეში მათი იმედები თუ არა...

დიდხანს დაობდნენ ერთმანეთთან ეს პატივცემულნი პირნი, ამ დავაში ღებულობდნენ მონაწილეობას, როგორც სპეციალისტები ამ საქმეში, ისე უბრალო დილეტანტები, დავობდნენ მჭერმეტყველურათ, მხურვალეთ, დიდის აღფრთოვანებით...

მე დავიძინე ყვირილში. როდესაც გამოვიღვიძე გორში, დავა გრძელდებოდა, მხოლოდ მეტის პაფოსით. ყველა კუპეში მჯდომნი ორ ბანაკათ დაყოფილან: ერთნი მიემხრობიან კუდაბზიკას, მეორენი პატივცემულ მანდილოსანს.

როდესაც „წითელ შლიაპამ" გაიგო ჩემი გამოღვიძება, შეწუხებულის ხმით მითხრა: იცით რა? მე ვნანობ, რომ შაქარი წამოვიღე, უფრო მოსაგები ყოფილა ცოცხალი ღორის წამოყვანა, შემდეგში წამოვიყვან, მაგრამ არ ვიცი, სად უნდა მოვათავსო იგი...

კუდაბზიკამ შეატყო მაშინვე, რომ „წითელი შლიაპა" ჯერ გამოუცდელი ყოფილა სპეკულიაციის ამ დარგში და საქმის დიდის ცოდნით აუხსნა, როგორ უნდა ღორის წამოყვანა...

მე ვუყურებდი ამ ქალიშვილს, რომელიც ოცნებობდა ღორის წამოყვანაზე და მაკვირვებდა: სწავლა მიღებული, ახალგაზრდა, ლამაზი—ის დიდის ინტერესით უსმენდა ამ საუბარს ღორზე, როგორც მუსიკალურ სიმფონიას, ან მხატვრულ პოემას, უსმენდა აღტაცებით და აღფრთოვანებით, უსმენდა ისე, როგორც უსმენენ შუბერტის ან შუმანის ნოკტიურნებს, ან კიდევ შოპენის მელოდიებს...

მე ვაკვირდებოდი მას და ვფიქრობდი ჩვენ თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაზე, რომელიც უყურადღებოთ ტოვებს ჩვენში ახალი ტიპების დაბადებას, ახალი ყოფა ცხოვრების (бытъ) დამკვიდრებას.

რა მდიდარ მასალას იძლევა ჩვენი თანამედროვე ცხოვრება დაკვირვებულ და ნიჭიერ მხატვრისათვის და რა სამწუხაროა, რომ არა გვყავს ისეთი მხატვარი, რა მდიდარი და დაუშრეტელი მასალაა ქართულ კომედიისათვის, ქართული სატირისათვის.

სად არის ჩვენი ჩეხოვი, მოგვევლინება თუ არა ჩვენს ღარიბ ლიტერატურას ჩვენი გოგოლი, რომელიც მოგვცემს უკვდავ კომედიას, როგორც არის „რევიზორი" ან მხატვრულ ეპოპეას ჩვენი ცხოვრებისას, როგორც „Мертвыя души".

ჩვენ გვყავს ჩვენი საკუთარი ჩიჩიკოვები, ხლესტაკოვები, ლიაპკინ ტიაპკინები, ნოზდრიოვები... განსაკუთრებით ჩიჩიკოვები. ისინი ელიან თავიანთ პოეტს, გენიალურ პოეტს, რომელიც უკვდავ ყოფს მათ ქართულ ლიტერატურაში.

ჩვენ მოგვევლინა აგრეთვე სრულიათ ახალი და საინტერესო ტიპები, როგორც არის ის ქალიშვილი, რომელზედაც მე გიამბეთ. მისი მთლიანათ და მხატვრულათ დასახასიათებლათ საჭიროა ისეთი ვირტუოზი, როგორც არის ჩეხოვი, საჭიროა ისეთი ნაზი, რბილი აკვარელები, როგორც მისი უკვდავი ნოველებია.

მე მგონია, ალბათ, შემთხვევა გაგაცნოთ შემდეგ წერილებში ზოგიერთი საინტერესო „ეგზემპლიარები" ჩვენი სპეკულიანტებისა, გაგაცნოთ ჩვენი ჩიჩიკოვები. ჯერ ჯერობით კი აღვნიშნავ შემდეგს. საინტერესოა, რომ ზოგიერთ სპეკულიანტებს დიდი მოთხოვნილება აქვთ თავის ხელობის საჭიროების, ასე ვსთქვათ, თეორეტიულათ დასაბუთების და მისი ზნეობრივი გამართლების. მე შემთხვევა მომეცა გზაზე მთელი მათი „ფილოსოფიის" გაცნობის, მთელი სისტემა დამტკიცების, მთელი წყობა დამამტკიცებელი საბუთების, ისტორიული ექსკურსიების, ავტორიტეტების (!)... და ბოლოს დასკვნა—რამდენათ სასარგებლო არიან სამშობლოსათვის... „ვაჭრები". ერთი სიტყვით მთელი იდეოლოგია... სპეკულიაციის ეს იდეოლოგებიც მეტათ საინტერესო მასალას წარმოადგენენ ჩვენ მხატვრულ ლიტერატურისათვის, მაგრამ ჩვენ ლიტერატურას სძინავს, და არ ვიცი როდის გამოიღვიძებს; ყოველ შემთხვევაში ამის ნიშნები ჯერ-ჯერობით არა სჩანს, სამწუხაროთ.

არა მარტო ცოცხალი ადამიანები, უსულო საგნებიც ხშირათ ნატრულობენ ჩვენში თავიანთ პოეტს და ტრუბადურს. მაგალითად, კახეთის რკინის გზა, კახეთის მატარებელი, რომელზედაც მე მიხდა მოგზაურობა. კუ და ეს მატარებელი რომ გაუშვა თფილისიდან, არ ვიცი რომელი მივა უფრო ადრე თელავში. ვისაც არ შევეკითხე, ვერავინ ვერ ამიხსნა, რა არის ამის მიზეზი. არავინ არ იცის აგრეთვე, რატომ ჩერდება მატარებელი ყოველ სადგურზე მთელი საათობით. ხანდახან მხოლოდ, როდესაც ვინმე ცნობის მოყვარე იკითხავს, რა მიზეზია ასე დიდხანს იცდის, მეორე ცნობის მოყვარე შუა სადგურში და მოიტანს ამბავს: კონდუქტორი საუზმობს, ხანდახან მემანქანე ჩამოვა ორთქლმავლიდან და თავის ნაცნობს ესაუბრება, ან ღვინის „გადაკვრა" მოუნდება, ან კანტროლიორი ჩამოდის მატარებლიდან კახური „ჩურჩხელას" ან ღვინის საყიდლათ და მას უცდიან.

საერთოთ არავის არ უკვირს მატარებლის ნელა სიარული და მისი სადგურებზე დიდხანს გაჩერება პირიქით, ყველას გაუკვირდებოდა, რომ მატარე-

---

*) იხ. „ერთობა" № 85.

ბრემენში საერთო გაფიცვები ოთხშაბათს დასრულდა. დოკის მუშებმა გადასწყვიტეს მუშაობა დაიწყონ, ტრამვაის ყველა ლიანდაგზე მოძრაობა განახლდა.

პარლამენტის ყოფილი წევრის ლედებურის საქმის გარჩევა დანიშნულია 19 მაისისთვის. ლედებურს ბრალათ ედება: 1) ბრემის [illegible] შეიარაღება და ჯარისკაცებისთვის იარაღის მიცემა; 2) აჯანყებულთა მიტინგის ხელმძღვანელობა; 3)... (დამახინჯებულია) და 4) ბოროტმოქმედთა თანაგრძნობა. დამცველებათ გამოდიან: თეოდორე ლიბკნეხტი (ძმა გარდაცვალებულ კარლ ლიბკნეხტისა), დ-რი გერცფელდი და დ-რი კურტ როზენფელდი.

პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ გადაწყვეტილია დაისაჯოს ყველა ის პირი, რომელნიც დამნაშავენია ომის დაწყებაში.

გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილმა სტატს-სეკრეტარმა ბარონ ფონ-იაგოვმა დაბეჭდა წერილები ომის დაწყების შესახებ. მან თანამდებობა მიიღო ვილჰელმის და სახელმწიფო კანცლერის თანხმობით და მიზნათ ქონდა ინგლისის და გერმანიის ინტერესები ერთმანეთისთვის შეეთანხმებინა, როგორც ამას სცდილობდნენ წინათ ბისმარკი, ბიკონსფილდი, ჩემბერლენი, სალისბიური და ლანსდოუნი. ოსმალეთში ეკონომიური გავლენის სფეროთა განსაზღვრის შესახებ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება 1914 წ. ზაფხულში უნდა დასრულებულიყო, რაც თავიდან ააცილებდა ყველას ომის დაწყებას, მაგრამ შეუთანხმებლათ მუშაობა ბალკანეთში მომხდარმა ამბებმა შესწყვიტეს. ავსტრია სერბიის უთანხმოების დაწყებიდანვე გერმანია-ავსტრიის მთავრობას ურჩევდა შერიგებითი ტონი დაეცვა და სერბიისადმი ავსტრიის ულტიმატუმის შემდეგ, რომელიც გერმანიაში სცნეს, როგორც მეტად შეურაცხმყოფელი მიმართვა. გერმანია სულ იმის ცდაში იყო, რომ უთანხმოება მორიგებით გათავებულიყო. მაგრამ ივნისის 29 საზონოვმა ავსტრიის ელჩს განუცხადა, რომ ამ შემთხვევაში სერბიის ინტერესები რუსეთის ინტერესებიაო. გერმანიის მოთხოვნაზე, რომ ინგლისმა რუსეთი უნდა შეაკავოს, გრეიმ განაცხადა, რომ ეს სრულიათ შეუძლებელია. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვივიანიმ პრეზიდენტ პუანკარეს დაუდასტურა, რომ გერმანიის ელჩი პარიზში ფიცით არწმუნებდა საფრანგეთს, რომ მას გერმანიასთან თანხმობით ემოქმედა, ე. ი. გავლენა მოეხდინა რუსეთზე, ზავის დასაცავათ. პეტროგრადში მყოფი საფრანგეთის ელჩი, როგორც ეს სარწმუნო წყაროებიდან გერმანიის ელჩს გრაფ პურტალესს შეატყობინეს, გერმანიის წინააღმდეგ პეტროგრადში ინტრიგებს აწარმოებდა. გრეის წინადადება, რომ ავსტრია-სერბიის კონფლიქტი ლონდონში მყოფ ელჩებს კონფერენციისთვის გადაეცათ გადასაწყვეტათ, გერმანიისთვის მიუღებელი იყო, რადგან ეს კონფერენცია ხელსაყრელი იყო სერბიისთვის და ავსტრიისთვის კი არა. გერმანიას არ შეეძლო დაეშვა, რომ მის მოკავშირეს უფლება დაეკარგა სერბიის მხრით კმაყოფილების მიღებისა და დაეკარგა აგრეთვე უფლება მოეთხოვა გარანტია, რომ სერბია მომავალში ავსტრიისადმი აგრესიულ მოქმედებას არ განაახლებდა. გერმანიის საარსებო ინტერესები მოითხოვს ავსტრიის დაცვას და ვენაში გერმანიის საბჭოს დაფუძნებას. დიდი ომი გამოიწვია, არა ავსტრიის პოზიციამ, არამედ რუსეთის საერთო მობილიზაციამ, რომელიც მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ და ამიტომ ყოველივე მორიგება შეუძლებელი გახდა. იაგოვი დაწვრილებით განიხილავს რუსეთის სამხედრო სამზადისს. ჯერ 1913 წლ. თებერვალში რუსეთში დაიწყო ომისთვის მზადება 1915 წ. გაზაფხულზე მზადება საჩქაროთ იზრდება. მრავალი მობილიზაციის საქმე უფრო ადრე იქნა შესრულებული ვიდრე მობილიზაციის დროს... უცნობელია პოლიტიკის საკითხების შესახებ გერმანიის პარლამენტის ხელში ყოფილ ცნობებს იაგოვი აგრეთვე მოკავშირეთა ფარულ დიპლომატიას. ფარული მოლაპარაკება იყო გამართული ბალკანეთის კავშირის და შესაძლო ხელშეკრულების დადების შესახებ. იტალიამ დაარღვია ყოფილ მოკავშირეთა ან საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულება. ინგლისისა და საფრანგეთის შორის სამხედრო ხელშეკრულება ფარული იყო. ინგლისისა და რუსეთის შორის საზღვაო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკება ისე იწარმოებოდა, რომ გრეიმ ინგლისის პარლამენტი ამ საკითხის შესახებ შეცდომაში შეიყვანა.

ახალი ამბები

ლტოლვილები. სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენლის ცნობით ამ ჟამად თფილისა და მის მიდამოებში 35 ათასი ლტოლვილი იმყოფება.

◆ **თიანეთის მაზრაში** უკვე დაიწყო საერობო წრიული ერთეულების არჩევნები. ინსტრუქტორად დაინიშნა ბრეგაძე.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის მეორე განყოფილება.** ოთხშაბათს, სად. 6 საათზე, გაიხსნება ვერის მარტყოფულ მუშათა კლუბის დარბაზში (ოლღას ქ., № 29). გახსნისას სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე სიტყვას იტყვიან ამხ. ვ. საყვარელიძე, ვლ. ბაქრაძე და ს. ქორქოლიანი, რის შემდეგ, წაკითხულ იქნება შემდეგი ლექციები: გ. ნათაძე „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის უძველესი ისტორია“, ქ. ქავთარაძე „ისტორია“, ექ. ტურიაშვილი „ჰიგიენა“.

◆ **დამფუძნებელი კრების სამხედრო** კომისიაში შემოვიდა კანონ-პროექტი იმ ჯარისკაცთა მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად, რომელნიც დაიჭრნენ სომეხ-ქართველთა და სხვა ფრონტებზე ბრძოლის დროს.

◆ **კულტურულ განმანათლებელ საზოგადოების ლიკვიდაცია.** 4 მაისს, შესდგა შეერთებული სხდომა პირველი რაიონის კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოების რკინის გზის პროფესიონალური ორგანიზაციების გამგეობასთან ერთად. კრებამ დაადგინა, გააუქმონ რაიონის კულტურულ განმანათლებელი საზოგადოება და ყველა საქმეები ერთი კვირის განმავლობაში გადაეცეს თფილისის რკინის გზის კულტურულ-განმანათლებელ ცენტრალურ კომისიას.

◆ **ყარსის გადაცემა სომხეთისათვის.** „აშხატავორს“ ატყობინებენ, რომ 28 აპრილს, ინგლისელებმა სომხეთის მთავრობას ყარსის ფორტები გადასცა. ქალაქის კომენდანტათ დაინიშნა მეოთხე პოლკის პოდპოლკოვნიკი მათევევი.

◆ **მოხალისეთა ჯარის მთავარსარდლობამ** გამოაცხადა სომეხთა მობილიზაცია. ჯარში იწვევენ ყველა სომხებს ვისი ქვეშევრდომიც არ უნდა იყოს. ამან უკმაყოფილება გამოიწვია სომეხთა შორის. უკანასკნელებმა დელეგაცია გაუგზავნეს ინგლისის მისიას, რათა მან გავლენა მოახდინოს მოხალისეთა სარდლობაზე, რომ სომხები ჯარში არ გაიწვიონ.

◆ **მომღერალთა გუნდი.** მეოთხე რაიონულ კოლექტივთან სდგება მომღერალთა გუნდი ნ. კავსაძის ხელმძღვანელობით. კოლექტივი მოუწოდებს ამხანაგებს ჩაეწერონ გუნდში. ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე რაიონის ბიუროში (ოლღას ქ. № 29) სად. 5—7 საათამდე.

◆ **ლექციები.** დღეს, სადამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები:

II განყოფილება (ვერა) 1) სერ. ქორქოლიანი „სახალხო უნივერსიტეტის მიზანი“.

2) გ. ნათაძე „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია ძველათ“, 3) ქ. ქავთარაძის „საყოველთაო ისტორია, 4) ექ. ტურიაშვილისა „ჰიგიენა“.

III განყოფილება (ჩუღურეთი) 1) მ. შალამბერიძე „ქიმია“. 2) გ. ალშიბაია „ელექტრობა და ორთქლის ძალა“. 3) ალ. ქორქოლიანი „ფსიქოლოგია“.

V განყოფილება (ძვ. ნავთ. უბანი) 1) ი. ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“. 2) ი. ნაკაშიძე „ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა“. 3) ექ. ხოშტარია „ფიზიოლოგია“.

VI განყოფილება (ერთობის უბანი) 1) ექ. ხოშტარია „ფიზიოლოგია“. 2) ალ. ქორქოლიანი „ფსიქოლოგია“. 3) ი. ნაკაშიძე „ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა“.

◆ **მასწავლებელთა კრება.** ხუთშაბათს, 8 მაისს, სად. 6 ს., ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია [illegible] საქართველოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირის წევრთა კრება.

◆ **„ესპერანტოს“ კურსები.** კვირას, მაისის 11, დილის 11 საათზე, სამასწავლებლო ინსტიტუტის შენობაში გაიხსნება საერთაშორისო ენის „ესპერანტოს“ კურსები. პირველ ჯგუფის მეცადინეობა იქნება კვირაობით, ხოლო მეორე ჯგუფისათვის სადამოობით, შეთანხმებისამებრ რომელიმე საქმის დღეს. კურსებზე ჩაწერა შეიძლება გამანაწილებელ კოოპერატივთა კავშირის კანტორაში, მოსკოვის ქუჩა, № 4. 3—4 საათამდე. ფასი კურსისა (3 თვეა) 5 მანეთია. სახელმძღ. წიგნები იშოვება კურსებზე.

◆ **ქალთა კრება.** ოთხშაბათს, 7 მაისს, სადამოს 5 საათზე შესდგება პირველი რაიონის ქალთა საერთო კრება. ამხ. ტოროშელიძე წაიკითხავს ლექციას. ლექციის შემდეგ გაიმართება მსჯელობა ნაძალადევის ქალთა ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

◆ **ქურდობა.** 1 მაისს დილის 11 საათზე ვ. ნოზაძის ბინაზე არხანგელსკის ქუჩა № 16, შეიჭრნენ რამოდენიმე ბოროტ განმზრახველნი და წაიღეს 12,000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

◆ **მკვლელობა.** 5 მაისს სადამოს 8 საათზე ლანარევის ქუჩაზე მოჰკლეს ოსმალეთის ქვეშევრდომი ნ. არშილოვი. მკვლელმა შეგინოვმა გაქცევა მოასწრო.

◆ **ქართველ მსახიობთა საპროფესიო** კავშირის წევრთა წლიური კრება დანიშნულია 29 მაისს.

◆ **უმუშევართა ფონდს** შესწირა მუშათა დეპუტატების საბჭოს ადმინისტრაციულმა კომიტეტმა 10 ათასი მანეთი. კლუბებში და რესტორანებში მოსამსახურეთა კავშირის მიერ 12 მარტს სახელოსნო კლუბში გამართულ სადამოდან შევიდა 2030 მ.

შეცდომის გასწორება. „ერთობის“ გუშინდელ ნომერში,—წერილში, „გაკვირით“, შეცდომით დაბეჭდილია: გამართეთ საჭირო დისპუტი, უნდა იყოს: გამართეთ საჯარო დისპუტი.

კრებები.

ხუთშაბათს, 8 მაისს, სრულ 4 ს. 6 რაიონის ამ. მარქს. ორგ. მოხდება მორიგი მეცადინეობა. მოვა ხელმძღვანელი ცენ. კომიტ. ხოლო 6 ს. კოლექტივის კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ დროზე დასწრებას.

პირველი მაისი პროვინციაში

ხოფ. პატარძეული (თფილისის მაზრა). ამ სოფლის მცხოვრებლებმა დიდებულათ დღესასწაულეს პირველი მაისი. დემონსტრაციას აუარებელი ხალხი დაესწრო, დროის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მ. ჯილღურმა. დღემ საუცხოოთ ჩაიარა, საერთო მხიარულება სუფევდა ხალხში. ყველას შეეგნო დღესასწაულის დიდი მნიშვნელობა.

ვლადიმერ არტუშკოვი

ხიდისთავი (გურია). პირველ მაისს დილით 11 საათიდან იწყო ხალხმა შეკრება სოფლებიდან. საათის ორზე დაიკეტა სავაჭროები და მიტინგი გაიხსნა სკოლის ეზოში. მიტინგმა თავმჯდომარეთ აირჩია ის. ლომთათიძე. ორატორებმა ილაპარაკეს პირველი მაისის მნიშვნელობაზე და სხ.

დასასრულ მიტინგმა, გამოსთქვა ღრმა მწუხარება ამხ. რაფიელ ჩიხლაძის დაკარგვის გამო და სამგლოვიარო დეპეშა გაგზავნა. მუხტარი.

ბანძის რაიონის მრავალრიცხოვანი მიტინგი აღფრთოვანებით ეგებება მუშათა კლასის დღესასწაულს პირველ მაისს, და გამოთქვამს რწმენას, რომ ამ უმაგალითო სისხლის ღვრის შემდეგ ევროპის მუშათა კლასი შესძლებს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს ომს, განთავისუფლებს შრომას კაპიტალის ბორკილებისაგან და ძველ ქვეყნის ნანგრევებზე ააფრიალებს შრომის თავისუფლების და კაცთმოყვარეობის დროშას.

მიტინგის თავმჯდომარე ისლამ ფალავა.

აცანის (გურია) მრავალრიცხოვანი მიტინგი მოწვეული ადგილობრივი კოლექტივის ინიციატივით, პირველი მაისის დღესასწაულის გამო, უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს სახალხო ტრიბუნის, რაფიელ ჩიხლაძის დაკარგვის გამო.

სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

ღრმად დაგვამწუხრა ამხანაგ რაფიელის სიკვდილმა. დიდი არის ეს დანაკლისი, მით უმეტეს იმ დროს, როდესაც თავისუფალ რესპუბლიკას გადამწყვეტი ბრძოლა უხდება რეაქციასთან, იმ შავბნელ რეაქციასთან, რომლის წინააღმდეგაც ამხ. რაფიელი ყოველთვის სახალხო გვარდიის პირველ რიგში იბრძოდა. მუშათა კლასი არ დაივიწყებს რაფიელის ამაგს, მისი ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ჩვენში. გიდევანიშვილი, ჯუღელი, ღვებუაძე, ხარაზი, ფარნიევი, ლილუა.

ბორჯომი. მუშათა კლასის ბელადი რაფიელ ჩიხლაძის ობლების სასარგებლოდ ვწირავ ათას მანეთს. სულით და გულით ვუერთდები საერთო მწუხარებას. დავით ქებაძე.

რაფიელ ჩიხლაძის გარდაცვალების გამო რედაქციამ მიიღო შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები: ახალციხიდან—ილიკო ლარჩია და ვანო რამიშვილისაგან, საჩხერე—ვანო დავითიანცისაგან, ოჩამჩირის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისაგან, ხონის რაიონულ ორგანიზაციისაგან, გორის მაზრის სახალხო გვარდიელთა ყრილობისაგან, ქუთაისის ქალაქის თვითმართველობისაგან, ყვირილის ნორმალურ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოსაგან, რაფიელის სკოლის ყოფილ ამხანაგებისაგან—ვლ. არეშიძესაგან, მ. ტაბატაძესაგან, ნ. ჩხეიძესაგან, ტ. ლაბაძესაგან, ი. აბაშიძესაგან, პ. ქუთიასაგან, ვ. გოცაძესაგან, ზ. ჯაფარიძესაგან; ხონის რაიონულ ორგანიზაციისაგან, სიმონ რამიშვილისაგან, ნ. ყენიასაგან, აბაშის რაიონის სოც.-დემ. კოლექტივისაგან, ქუთაისის სამეურნეო სკოლისაგან, ქუთაისის ახალგაზრდა მარქსისტთა კომიტეტისაგან, ზუგდიდის სოც.-დემ. პარტიის იაჩეიკასაგან, ყვირილის რაიონის სოც. დემ. მუშ. პარტიისაგან, ბაღდათის სოც.-დემ. ორგანიზაციისაგან, ხიდისთავის რაიონის სკოლის მასწავლებლებისაგან, ოზურგეთში პირველ მაისის გამართულ მიტინგის თავმჯდომარე თოთიბაძისაგან, ბორჯომის მუშათა საბჭოსაგან, სენაკის მაზრის კომიტეტისაგან, ხვარბეთის პირველ მაისის მიტინგის მონაწილეობით სანდრო ქინქლაძესაგან, სიღნაღის მუშათა დეპუტატების საბჭოსაგან, გორის სამაზრო სახალხო შტაბისაგან, თიანეთის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბისაგან, ველისციხელ ამხანაგებისაგან, ჩხარის სოც.-დემ. კოლექტივისაგან.

კიდევ ფერშალიზმზე *)

(ექიმ ლომოურის საპასუხოთ)

გაზ. „ერთობის“ № 89, მოთავსებულია ექ. ლომოურის წერილი ფერშლიზმის სათაურით, სადაც ავტორი ეხება ფერშალთა საკითხს ჩვენში და თან მოჰყავს ექიმთა პროფესიონალურ კავშირის დადგენილება, რომელზედაც ამ წერილში არას ვიტყვი, ვინაიდან თვით ექიმის თანაშემწეთა კავშირი გასცემს სათანადო პასუხს ამ დადგენილებაზე. ამ ჩემი პატარა წერილით მინდა მოკლეთ და მარტივათ გავაცნო მკითხველს ფერშალთა მოთხოვნილებანი, რომ ექ. ლომოურის დაუსრულებელმა და ბუნდოვანათ დაწერილმა წერილმა შეცდომაში არ შეიყვანოს საზოგადოება, რომ ვითომ ფერშლები ისე გაკადნიერდნენ, რომ თხოულობდნენ ექიმებთან გათანასწორებას. უნდა მოვახსენო მკითხველებს, რომ ფერშლიზმის ისტორია რუსეთში იწყება პეტრე დიდის მეფობის დროიდან, მაშინდელი ექიმიც კი ვერ უდრიდა ცოდნით დღევანდელ არსებულ შკოლის ფერშალს. ჩვენში არიან რიცხვის ფერშლებიც, რომელნიც ჩვენ კავშირში არ იმყოფებიან, მაგრამ დროთა ვითარებამ და ცხოვრების ობიექტიურმა პირობებმა მოითხოვა მეტად განათლებული ექიმი და მისი თანაშემწე, რის მიზნით გაიხსნა უნივერსიტეტები და სპეციალური საფერშლო შკოლები, რომელიც თანდათან ვითარდებოდა და დგებოდა კარგ ნიადაგზე. ვინაიდგან სოფლის დარგში დიდი მოთხოვნილებანი იყო, ამიტომ, როგორც ექიმს, აგრეთვე ფერშალს გზავნიდნენ და ავალებდნენ თავისუფალ მოქმედებას. მხოლოდ ფერშალთათვის კანონები არ იცვლებოდა და რჩებოდა ისევ პეტრე დიდის დროს შემუშავებული კანონები, მაგრამ ცხოვრება ფერშალს თანდათან უდგენდა მეტ მოთხოვნილებას და ამიტომაც ფერშალთა მოქმედებამ ფართოთ გაშალა ფრთები და, თუ სტატისტიკას გადავავლებთ თვალს, საექიმო დარგში გაკეთებული ნახევარი ეკუთვნით ფერშლებს. ამის გარდა ძველათ და მეფობის დროსაც დემოკრატიულ ნაწილს ვერ შეეძლო გაეთავებინა უმაღლესი განათლება, რადგან ეს ხვედრი იყო მდიდარ და ჩინოვნიკების შვილებისა და ამიტომ ამ მოდგმის ექიმი, რომ თავებდა ან იშვიათად მიდიოდა სოფელში, რადგან იკლებდა ქალაქში და, თუ მიდიოდა, ისიც ყოველთვის ფერშლის ხელებით აკეთებდა ყოველისფერს და „ბატონურათ“ ეპყრობოდა ხალხს. მხოლოდ ფერშალი, რომელიც ამავე სოფლის შვილი იყო და მოძმე გლეხისა უფრო და უფრო უახლოვდებოდა დემოკრატიულ მასსას, რის გამოც იძულებული იყო მეტი ცოდნა და განვითარებისთვის მიეყო ხელი, რომ დახმარებოდა თავის მოძმეს... ეს ყველაფერი კეთდებოდა და დღესაც გინდაც ქ. თფილისში კეთდება ფერშლის ხელით, რასაც თვით ექიმები დამოწმებიან, მაგრამ ყველა ის გაკეთებული იყო კანონ გარეშე და ამიტომაც იყო, რომ ამ 50 წლის წინეთ პირველად ჩაისახა მოწინავე ინტელიგენციამ და ფერშალთა კავშირებმა, რომ მიეღოთ მხოლოდ ის უფლებანი, რომელსაც ფაქტიურად ასრულებდნენ. ფერშალთა მოძრაობის უმთავრესი ბელადი იყვნენ მეცნიერი მასწავლებელი პიროგოვი, რომელიც ამბობს ფერშალთა საკითხზე და მათ უფლებებზე: „სიმართლე უნდა ვიმეოროთ გინდაც იგი მოგვწყინდეს, რომ ფერშლიზმს უნდა დაეთმოს მედიცინაში ის ადგილი, რომელსაც იგი ასრულებსო“. პროფ. გერცენშტეინი ამბობს „ფერშლიზმი უნდა აღიარებული იქმნეს კანონით და მიეცეს ის ადგილი, რომელსაც ფაქტიურად ასრულებსო“. ექიმი ლიონი ცნობილი საერობო მედიცინის მოღვაწე ამბობს: „ფერშლიზმი უბედურება კი არ არის, დასამწუხარებელია, ადამიანი მთელი სიცოცხლე მუშაობს და კი არ შეუძლიან ცხოვრებას პირდაპირ უყუროსო“, ან, რა თქმა ქ. თფილისის ცნობილმა დოსტაქარმა, აწ განსვენებულმა ექიმმა რაზუმოვსკიმ: „ფერშალი არის მარჯვენა ხელი ექიმისა, ურომლისოდაც მუშაობა შეუძლებელიაო“. და სხ. და სხ. ამის გარდა მრავალი-მრავალი საერობო მოღვაწენი, როგორც ექიმები ისე სხვები იზიარებენ ამ აზრებს და სწერდნენ ჟურნალ-გაზეთებში. იყვნენ მოწინააღმდეგენიც, მაგალითად, მილიუკოვი და ამხ., მე არ ვამტყუნებ ექ. ლომოურს, იგი როგორც ექიმი ყოველთვის მოწინააღმდეგე იქნება ფერშლის, იგი ვერას დროს ვერ შეურიგდება ფერშალთა იმ მცირედი უფლების მინიჭებასაც კი, რომელსაც თხოულობენ ფერშლები, ყველა ეს გამოწვეულია იმითი, რომ იგი ექიმია... კერძო ცხოვრებაში კი მე ვიცი, რომ ამხ. ექ. ლომოური ბევრს ფერშალს სცემს პატივს... ექ. ლომოურის აზრით არ შეიძლება ნახევრათ განათლებულ კაცს მიენდოს ექიმობა. განა ფერშლები იმას თხოულობენ, რომ ყოველიფერი ის გააკეთონ, რასაც აკეთებენ ექიმები. განა ინჟინერს რომ უფლებიანი ტეხნიკი ჰყავს, ინჟინერის დაუკითხავად აკეთებს როთულ საქმეს? ჩვენ ვთხოულობთ იმის დაკანონებას, რის გაკეთებაც ძალგვიძს და ვაკეთებთ. აი რას ვითხოვთ ჩვენ: 1) გადართოებული იქმნეს დღევანდელი სასწავლებელი, რომ იქიდგან შეეძლოს გადავიდეს უმაღლეს სასწავლებელში, მხოლოდ იმ პირობით, რომ საშუალო საფერშლო სასწავლებელ დამთავრებულმა უსათუოთ იმსახუროს სამი წელიწადი ფერშლათ. 2) ნება გვქონდეს მივსცეთ ავის მოწმობა მხოლოდ (ექსპერტიზის ხასიათი არ უნდა ჰქონდეს); 3) შემუშავებული იქმნეს წამლების სია, რომელიც შეეძლება გამოიწეროს ფერშალმა აფთიაქიდან პირველი დახმარების აღმოჩენისთვის. 4) დაკანონებული იყოს ის, რასაც მთავრობის ბრძანებით და თვით ექიმების ნებით ასრულებენ ფერშლები, მაგალითად: კან ქვეშ წამლის შეშხაპუნება, პატარა ოპერაციების გაკეთება და სხ., თუმცა ყველა ეს დაკანონებულია ჯერ კიდევ რუსეთის ძველი მთავრობის მიერ. ამის გარდა ყველა ის, რასაც თხოულობენ საქართველოს ფერშლები, შემუშავებული იყო რუსეთში რეინის კომისიის მიერ, რომელიც დაკანონა კერენსკის მთავრობამ და ცირკულიარითაც აცნობა ყველას, მაგრამ რა მოხდა საქართველოში, რომ ამ დეკრეტს არ ატარებენ? თუმცა კი ყველა იმას, რასაც ითხოვენ ფერშლები და უფრო მეტსაც აკეთებენ, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ასრე, გვინდა რომ ყველაფერი ჩვენი საქმიანობა კანონის ფარგლებში ხდებოდეს. მიუხედავათ იმისა, რომ ასე გაწვრთნებული ებრძვიან ფერშალიზმს, მაინც მას ებლაუჭებიან და იწვევენ და გზავნიან სამუშაოთ უექიმოთ სოფლებში ეპიდემიაზე და სხ., თუ არ არიან საჭირონი რათ დაადგინა იმ კომისიამ, რომელიც მუშაობდა შინაგან მინისტრის დავალებით „საერობო მედიცინის მოწყობის შესახებ“, სადაც შედიოდნენ პროფესორი რაზუმოვსკი, შირკადგოროვი და მრავალი საუკეთესო ჩვენი ექიმები და თვით ექ. ლომოური, რომელთაც აღიარეს ერობისთვის ფერშლები და მრავალი შემოკლების შემდეგ გამოირკვა, რომ საქართველოს ერობებს სჭირიათ 550 ფერშალი და 218 ექიმი, აქედან ისა სჩანს, რომ ჯერ საქართველოს არ შეუძლიან „იდეალური“ მედიცინის შექმნა და კვლავ იარსებებენ ფერშლები და თუ იარსებებენ, მაშინ საჭიროა მათი კანონის ფარგლებში ჩაყენება, ვინაიდან საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოს მოქალაქენი არ შეიძლება, რომ კანონ გარეშე იყვნენ. დასასრულ ექ. ლომოურს მინდა იმაზე ვუპასუხო, რომ იგი ამბობს: „ფერშლიზმი“ უნდა მოისპოსო, განა ჩვენ ამის წინააღმდეგნი ვართ? ეს ჩვენ დიდიხანია ვთქვით, რომ არამც თუ საექიმო დარგში, ყველა დარგში უნდა იყვნენ უმაღლეს სწავლა მიღებულნი, რომ საქართველო უფრო ამაღლდეს მეცნიერულათ და კულტურულათ, მაგრამ ეს ხომ ჯერ-ჯერობით „ოცნებაა“ და ამიტომ ცხოვრების სინამდვილეს, უნდა გაუწიოთ ანგარიში, დღეს ვიდრე ამ ფაკულტეტს საუნივერსიტეტოდან არ მივიღებთ და არსებობენ ექიმის თანაშემწენი საშუალო ცოდნით, უნდა მიეცეს მათ ის უფლება, რაც თვით ცხოვრებამ მიანიჭა ჩვენი კომპეტენციის და ცოდნის მიხედვით. ჩვენ ვითხოვთ ჩაგვაყენონ კანონის ფარგლებში, როგორც უნდა იყოს, მე მგონი დაბოლოს ამის უფლება გვაქვს. გ. ხაათაშვილი.

P. S. ამხ. რედაქტორო! ეს წერილი მეორეა და იმედია მოგვცემთ საშუალებას პასუხის მიცემისა, რომ საზოგადოებამ არ იფიქროს, რომ ჩვენ ფერშლები ვიზიარებთ ექ. ლომოურის აზრს. პასუხის უფლება მგონია გვაქვს, როგორც გალანძღულთ. გ. ხ.

---

*) იბეჭდება შეცვლილად. რედ.

ს.-დემ. პარტიაში

(დასასრული).

გორი. ეროვნულ საბჭოს შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. გაგლოევმა. მან მოაგონა დელეგატებს ის ობიექტიური პირობები, როცა ეროვნული საბჭოები მოეწყო, რომლების დანიშნულება მხოლოდ კულტურულ მუშაობაში უნდა გამოხატულიყო და ხელი უნდა შეეწყო ჯარში დისციპლინის შენახვისათვის ეროვნულ პოლკების მოწყობით, მაგრამ შემდეგ, როცა ეროვნული საბჭოები მართვა გამგეობაში ჩაერივნენ და ხშირად რევოლუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგაც კი მიდიოდნენ, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ცენტრალურმა საბჭოებმა დაგმეს ეროვნულ საბჭოების ზრახვანი და მისწრაფებანი, მათი ნაციონალისტური პოლიტიკა და უნდა კიდეც დაშლილიყვნენ. მაგრამ რევოლუციის შემდეგმა მსვლელობამ, როცა დემოკრატიული ფრონტი დაირღვა, მუშათა საბჭოები დაიქსაქსნენ და მათ მაგივრად შესდგა ამიერ-კავკასიის სეიმი, ეროვნულმა საბჭოებმა დიდი ნიადაგი მოიპოვეს. მთელი ერის სახელით ისინი გამოდიოდნენ და ბოლოს, როცა სეიმი დაიშალა, კანონმდებლობითი ორგანოებად—პარლამენტად გადაიქცნენ. წვრილ ერების ეროვნულ საბჭოებსაც ისეთივე მისწრაფება ჰქონდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა, როგორც სხვებს. ოსების ეროვნული საბჭო არ შეადგენს გამონაკლისს. ჩვენ, როგორც სოციალდემოკრატები, არ თანაუგრძნობდით ეროვნულ საბჭოების ასეთ ლტოლვილებას და შეძლების დაგვარად ვებრძოდით მას, სანამ ჩვენ ვიყავით უმრავლესობა საბჭოში. მხოლოდ კულტურულ მუშაობას ვუწოდით, შემდეგ

ბელი ჩქარა წავიდეს ან სადგურზე ერთი საათი მაინც არ მოიცადოს.

ეს დაარღვევდა იმ გარმონიას, რომელიც სუფევს მატარებლის სიარულის, მისი ასე ვსთქვათ ზნე-ჩვეულების“ და კახეთის მცხოვრებთა აუჩქარებელი ხასიათის, ტემპერამენტის შორის. კახელს არ უყვარს სიჩქარე და არ ესმის, რისთვისაც სხვები ჩქარობენ.

მატარებელსაც თავისი „ტემპერამენტი“ შეუთვისებია კახელის „ტემპერამენტთან“ და ისიც ისე აუჩქარებელი, ზანტი და, მომიტევეთ, ზარმაცია, მას (მატარებელს) საშინლათ ეზარება დაძვრა სადგურიდან ხანგრძლივი მოსვენების შემდეგ და, როდესაც დაიძვრება გრძნობით, რომ მას ეს საშინელ უსიამოვნებას გვრის, მიდის ნელა, ზანტათ და თუ რამეში იჩენს სიჩქარეს ეს მხოლოდ იმაში, რომ გაჩერდეს სადმე და დიდხანს მოისვენოს.

ერთი სიტყვით, მატარებელს არ შეაქვს არავითარი დისონანსი კახელების პატრიარქალურ ცხოვრებაში, არ არღვევს მის ტრადიციებს და ზნე-ჩვეულებას, არ ერევა მის საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ ჩვეულებებში და ამიტომ მე მგონია, რატომ უყვარს კახელს თავისი მატარებელი თითქმის რომანტიული სიყვარულით. ის ხშირათ ამბობს, „ჩვენი „ლოთი მატარებელიო“ და ამაში ისმის ნოტები სანტიმენტალური და წრფელი სიყვარულისა, მატარებელი უყვარს მგზავრებს იმითვე. მე მგონია, რომ „ლოთ მატარებელსაც“ უყვარს თავისი მგზავრები და მშვენივრათ იცნობს მათ ხასიათს.

უნდა ითქვას, რომ „ლოთი“ მატარებელი ამართლებს თავის მეტ სახელს. მატარებელში განუწყვეტელი ღვინის სმაა. სვამენ ყველა: მამაკაცები, ქალები, ბავშვები. ყოველ მგზავრს თან მოაქვს საგზლე და ღვინო. ამიტომ თუ არა მატარებელზე, ის შლის სუფრას. თავს მოხსნის ტიკს, გაავსებს ბოთლებს და იწყება სმა, სმა განუწყვეტელი, პატარა ანტრაქტებით.

მგზავრი სვამს თვითონ და აძალებს სხვებსაც, ვინც არ სვამს, ან გაათავა სმა და ცოტა ხნით „ისვენებს“. კახელ მგზავრს არ უყვარს როდესაც მიწოდებულ ჭიქაში, ან ყანწში (წარმოიდგინეთ ყანწებიც დააქვთ) ღვინოს დატოვებენ. ის მოითხოვს „დაცლას“, მოითხოვს დაჟინებით, კატეგორიულად, შეუწყნარებლათ.. და რას იზამთ, უნდა დაემორჩილოთ. კახელი ყველაფერში მოითმენს წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ამაში კი არა. ის შეურიგებელია.

მე ხანდახან ვფიქრობ: მატარებელში იმდენი ღვინო ისმება, რომ მისი კედლები იჟღინთება ღვინის ორთქლით და იგი თვრება, თვრება ისე, როგორც ადამიანი და სიმთვრალეში „ჩვენი ლოთი მატარებელი“ ხშირათ არა დასაშვებ საქციელს ჩადის. მაგალითად, ჩემი თელავისკენ მგზავრობის დროს მან გასრისა ორი მგზავრი ერთად! როგორ, რა პირობებში მოხვდნენ ეს ორი საცოდავი მგზავრი მატარებლის ქვეშ, არავინ იცოდა, არავის არ აინტერესებდა და არავის ამის ახსნა არ შეეძლო. არავის ამის გამო არ გამოუთქვამს [illegible], ყველა გრძნობდა, ალბათ, რომ სიმთვრალეში ეს ბუნებრივი მოვლენაა და არავის არ მოსვლია თავში „ჩვენი ლოთი მატარებლის“ გამტყუნება...)

ბევრი საინტერესო და საყურადღებო მოვლენებია კიდევ ჩვენს კუთხეში პროვინციაში, ბევრი საინტერესო ტიპები, რომლებიც უცდიან თავის [illegible], მაგრამ ამაზე შემდეგ.

ვლ. ბაქრაძე.

როცა ნაციონალისტებმა ჩაიგდეს ის ხელში, ვიმეორებთ ახლა მიგვიღია მონაწილეობა საბჭოში და თავიდან აგვიცილებია ყოველივე პასუხისმგებლობა. მაგრამ სინამდვილეში დავრწმუნდით, რომ ეროვნული საბჭოს ავტორიტეტი დიდი ყოფილა ფართო მასსაში და მისი დატოვება ნაციონალისტების ხელში ნამეტან დააზარალებს ჩვენს მუშაობას სოფლად. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპიალურად ეხლაც წინააღმდეგნი ვართ ეროვნულ საბჭოსი, პოლიტიკური პირობები და ტაქტიკური მოსაზრებანი გვიკარნახებენ მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ მომავალ არჩევნებში და თვით საბჭოშიაც. საარჩევნო კამპანია უნდა გამოვიყენოთ ჩვენი იდეების გასავრცელებლად და ორგანიზაციების ასაშენებლად, დაუინტერესებლად უნდა გამოვამჟღავნოთ ყველა პარტიების ნაციონალისტური სულის კვეთება, არ უნდა დავინდოთ ეგრეთ წოდებული დემოკრატიული სოციალ-დემოკრატებიც, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობებში არ განსხვავდებიან, ერთი სიტყვით, არჩევნების დროს გვმართებს ყოველნაირი ნაციონალისტებისაგან სრული გამიჯვნა. სხვა სოციალისტებთან შეთანხმება შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ გამ. ნაკლის შემთხვევებში—გარემოების და პირობების მიხედვით შოვინისტების წინააღმდეგ.

კონფერენციამ კრიტიკას ქარცეცხლში გაატარა ოსების ეროვნული საბჭოს მოქმედება, მისი ანტიდემოკრატიული და კონტრ-რევოლუციონური ნაბიჯები, შოვინისტური პოლიტიკა. ბოლოს გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: ვ[illegible] რა მხედველობაში შექმნილ მდგომარეობას, სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციის საქ. ს.-დ. მ. პ. პირველი კონფერენცია უარს ამბობს ბოიკოტზე და აუცილებლად საჭიროდ სთვლის მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ოსების ეროვნულ საბჭოს ახალ არჩევნებში და გამოიტანს ცალკე სიით.

კონფერენციამ დაასახელა კანდიდატები თითქმის ყველა რაიონიდან და გამოსთქვა სურვილი, რომ სიის წესრიგის შემუშავების დროს მიაქციონ ყურადღება ინტელიგენტის შემდეგ აუცილებლად ჩასწორების [illegible] და წარმოდგენის კანდ. დასამტკიცებლად მხოლოდ საიმედო პირები. ბოლოს კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი სია. 1) გაგლოევი გ. ა. დამფუძნ. კრების წევრი, 2) ფარნიევი ა. ი. დამფუძნ. კრებ. წევრი, 3) ძასოხოვი ა. გ. გორ. მაზ. ყოფ. კომისარი. სტუდენტი, გიმნაზიის მასწავლებელი, 4) ჯალითოვი ქ. თ. რკ. გზ. სახ. მუშა ძველი ს.-დ. სლესარი, 5) ხუთაგუროვი მ. ა. გორ. სამ. ერობის ქარხნების გამგე, 6) ბიბილოვი ა. შ. ხაშურის რკ. გზ. დეპოს მუშა, სლესარი, 7) ფარნიევი გ. ი. დუშეთის სამაზ. ერობის გამგ. წევრი, სტუდ., 8) მარგიევი მ. ი. რკ. გზ. მუშა, 9) გასიევი ბ. ი. [illegible] მთა-ოსეთის ყოფილი კომისარი. ტექნიკუმის თავისუფ. მსმენელი. 10) ძ[illegible]ბაევი ა. გ. ტრამ. კონდუქ., 11) გაგლოევი, ლ. ა. მასწავლებელი, მეურნ., 12) თედეევი ს. გ. ტრამ. პარკ. ზედამხ. თანაშ., 13) სანაკოევი ი. ლ. ჯავის უმაღ. პირვ. დაწ. სასწ. მასწავლებელი, 14) ფილიევი ი. ს. ხაშურ. სად. აგენტი, 15) ჯიოევი გ. ბ. რკ. გზ. სახ. ყოფ. მუშა, 16) ჩოჩიევი ალექსი, ოფიცერი. ერობ. სასურ. რწმუნ. 17) სანაკოევი ნ. მ. თფილ. მუშა, 18) სანაკოევი თ. ა. მასწავლებელი, 19) ლოხოვი პ. მ. მუშა-მეურნე. კოოპერ., 20) ცხოვრებოვისა ვ. ს. სახალხო მასწავლებელი, 21) მარგიევი დ. პ. ტრამ. მუშა. მანტიორი, 22) ცხოვრებოვი ე. გ. მიწ. მოქმ. სამინ. რწმუნებ., 23) მეზოევისა გ. თ. მუშა-მკერვალი, 24) ცხოვრებოვისა დ. ა. მასწავლებელი, 25) ხუბაევი ს. ბ. მუშა, მეურნე, 26) მალდიევი ვ. ი. სოფლის მუშა. გვარდიელი, 27) გაგლოევი გრიშა სპ. კოოპერატ. მეურნე, 28) ძუცოევი ნიკალა. სოფლის მუშა, 29) კაბისოვი კ. ლ. მუშა, 30) ჯიოევი დოლ[illegible]. მეურნე, 31) თედეევი გ. ს. ტრამ. მუშა, 32) სანაკოევი ა. ლ. მეურნე, 33) თომაევი გ. ს. ტრამვ. მუშა, 34) ქოზაევი დიმიტრი. ახალ-ამწყობი, 35) ფუხაევი პ. ნ. მუშა, 36) ბიცოევი ი. ი. სოფლის მუშა. 37) ვალიევი ნ. გ. მეურნე. 38) ბითაროვი თ. ს. სოფლის მუშა. 39) მარგიევი პ. მ. მეურნე. 40) ახაევი ნ. გ. სოფლის მუშა.

ერობის შემოღების შესახებაც მოხსენება გ. გაგლოევმა გააკეთა. ერობის მოწყობას, მისი აზრით, ეკონომიური საფუძველი უნდა ედვას. ერობა, როგორც საშუალება და სახალხო თვითმართველობა, უნდა ეყრდნობოდეს თავის საკუთარ ძალებზე, ის არ უნდა ჩიოდეს ხოლოდ სახელმწიფოსაგან დახმარებას, თუ მთავრობის [illegible] არ სურს. ოსეთის ერთ მხრივ სიღარიბე ერთგულად გამოყოფს სერიოზული კითხვაა. მას ჯერ კიდევ ბევრი გამოკვლევა სჭირია ყოველმხრივ, უთავრესად კი ფინანსიური მხრივ და შემდეგ სამეურნეო და მისვლა-მისვლის მხრივ. მართალია, ჩვენ მოსწრენი ვიყავით და ახლაც ვართ სამხრეთ ოსეთში ერთი სამაზრო ერობის მოწყობისა, მაგრამ აქამდისინ ვერ გამოვარკვიეთ რამდენი იქნება მას შემოსავალი, ან ხარჯები, ისე კი მისი შემოსავალი სახიფათოა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც წარუდგინეს [illegible] გორის სამაზრო ერობის ყრილობას ოცდა ოთხ მილიონ მანეთს, თუ ხელს სცნობს სამაზრო ერობის ხარჯთ-აღრიცხვა—12 მილ. წელიწადში, მაშინ სამხრეთ ოსეთის ერობის საჯიბეში უეჭველად მდგომარეობაში უნდა ჩაითვალოს. სამხრეთ ოსეთი სენაკის მაზრას არ ჩამოუვარდება ტერიტორიის სივრცით და მცხოვრებლების რიცხვით, ამიტომ იმაზე ნაკლები ხარჯები არ ექნება, შემოსავლის წყაროები კი ნაკლებია. ჩვენ გვინდა ნათქვამი ჯერ წვრილი საერობო ერთეულები, შემდეგ მათი ყრილობა და თუ გადაწყვიტეს შეერთება ერთ მაზრის ერობაში, ეს იმათი საქმეა. გორის სამაზრო ერობის გამოყოფილებით ოსებში უნდა მოეწყოს შემდეგი ერობები: 1) მთა-ოსეთის, რომელშიაც შევლენ ჯავის, ყეშელთის და როკის საზ. ამავე ერობაში შეიძლება შევიდეს ჩასავლის საზოგადოება. 2) არგ[illegible]ის ერობა, რომელშიაც შევლენ ყორნისის და წუნარის საზ. აგრეთვე შეიძლება შევიდნენ ზოგიერთი სოფლები [illegible] საზ. 3) ცხინვალის ერობა, რომელშიაც შევლენ ორტევის და ბელოთის საზ. და რამდენიმე სოფელი დიცის და მეჯვრისხევის საზ. აქვე შეიძლება შევიდეს ანდორეთის საზ., თუ მოისურვებს მცხოვრებლებმა 4) ატენის ერობა შერეული, რომელშიაც შევლენ ზიღანისთავის, ბობნევის და ახალსოფლის საზ. 5) ქორნისის ერობა, ესეც შერეული, ზნაურის და ქორნისის საზოგადოებებისაგან შემდგარი. 6) ხაშურის ერობა, შერეული შემდგარი სურამის და ხაშურის საზ. დუშეთის მაზრაში: 1) ახალგორის ერობა, შერეული ქართველ-ოსებისაგან, რომელშიაც შევლენ ახალგორის, ლარგვისის, მონასტრის, გრემისხევის საზ. მას შეუძლიან შეუერთდეს ქსნის-ხეობის ოსები, თუ მოისურვებს, თუ არა ქსნის-ხეობის ერობაში დარჩებიან. 2) თრუსოს ერობა, რომელშიაც შევლენ თრუსოს ხეობის ოსები. ამ წვრილ ერთეულების გამოყოფის დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ ეკონომიური და ადმინისტრატიულ მოსაზრებების გარდა, მცხოვრებლების სურვილით.

კონფერენციამ მიიღო საფუძვლად მოხსენება და გადასცა კომიტეტს და სამუშაოდ.

კონფერენციამ აირჩია ცენტრალური ორგანო, რომელსაც დაერქმევა სამხრეთ-ოსეთის კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, რომელიც მოთავსდება გორის სამაზრო კომიტეტის ბინაზე—ქალაქის თვითმართველობის შენობაში. სულ უნდა იყოს შვიდი რაიონი: 1) თფილისის, სადაც შევლენ, ადგილობრივი და მანგლისის ახლო-მახლო ოსის სოფლებიც; 2) გორის—ბობნევის, ახალსოფლის, ზელიშურის, ანდორეთის და ქვემო შიდის ოსები, 3) მთა ოსეთის—ჯავის, ყეშელთის, ჩასავლის და როკის ოსები, 4) ცხინვალის—წუნარის, ყორნისის, ბელოთის, ორტევის, ტბეთის, დიცის, მეჯვრისხევის და თამარაშენის ოსები, 5) ქსნის—ლარგვისის, ახალგორის, გრემისხევის, მონასტრის; მუხრანის და თრუსოს ხეობის ოსები, 6) გორის—ხცისის, ატენის, ზღუდერის, დირბის და ბეჯანეთის ოსები, 7) კახეთის—თიანეთის და კახეთის ოსები.

სამხრეთ-ოსეთის კომიტეტში აირჩიეს 7 კაცი: თფილისის რაიონიდან სანდრო ფარნიევი, გორის—გიორგი გაგლოევი, მთა ოსეთის—ნიკო სანაკოევი, ცხინვალის—მიხაკო ხუთაგუროვი, ქსნის—კოსტა ძებისოვი, გორის—ანტონ ბიბილოვი, კახეთის—მიშა მარგიევი.

პარტიაში წევრებათ მიიღებიან პროფესიონალურ [illegible] და ორგანიზაციის რჩევით საერთო პარტიულ წესდების მიხედვით, საწევრო გადასახადი ერთი მანეთი თვეში. კომიტეტებს ექნებათ ბეჭდები და ბლანკები.

კონფერენციამ მოისმინა მიხ. მარგიევის განცხადება ოსების გიმნაზიის შესახებ ცხინვალში. გიმნაზია შესდგება ჯერ-ჯერობით ოთხ კლასისაგან და გაიხსნა წარსულ ოქტომბერს. ასეთ [illegible] სწავლობს სულ ღარიბი ოჯახების [illegible], რომელთაც საშუალება არ შეეძლოთ შვილების ქალაქებში გაგზავნა. მოწაფეები ლიდიათ კმაყოფილნი არიან. მოწყობილობა სხვათა შორის საჭირო [illegible], მაგრამ გიმნაზიას სახსარი არა აქვს, ეროვნული საბჭო მას არ ეხმარება, რადგანაც ჩვენი ამხანაგების ინიციატივით გაიხსნა, არც მთავრობამ მისცა დახმარება [illegible] და განიცდის კრიზისს. კონფერენცია სთხოვს მთავრობას ალიპიუხის ხსენებულ გიმნაზიის დახმარება, გორის სამაზრო ერობას—მისცეს ფულადი მოწყალება [illegible] თვის მეტი ფინანსიური, ან ნაკლებ ფასებში ნისიათ მაინც. კონფერენცია დიდ მადლობას უძღვნის გიმნაზიის დამაარსებლებს და პირველ მოძღვრის დახმარებას. კონფერენციის ყველა დადგენილებები უნდა ეცნობოს საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

გიდეა.

რკინის გზაზე

ამა წლის 4 აპრილს მე მივემგზავრებოდი ბათუმიდან სამტრედიაში და იქიდან თფილისში. ამ მგზავრობის დროს გამძარცვეს.

ერთმა კაცმა, ვითომცდა ბარგის მზიდავმა, ვაგონიდან გადმოსვლის დროს, ლაპარაკით ხელი ჩემს ჩემოდანს და ბოღჩას, სადაც მქონდა საბუთის ქაღალდები და ჩემი დიდი ხნის ნაშრომი ნაწერები და მიიმალა.

წამღებს ვთხოვ დამიბრუნოს მხოლოდ დოკუმენტები,—წერილები, სხვანი რვეულები და სხვა საქმის ქაღალდები, რომლებიც წამღებისათვის სრულებით არ არის გამოსადეგი, ჩემთვის კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

ვსთხოვ გამომიგზავნოს იგი ფასიანი ამანათით, ან და გადასცეს სამტრედიის რკინის გზის მილიციას.

ჩემი მისამართი: თფილისი ბოტანიკური ბაღი ნ. ნ. ვორონიხინს.

[illegible] ვასცემთ, 1 გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი ხარვეი ვორონიხინი.

მუშათა შორის

ქუთაისი. მუშათა კლუბის „ინტერნაციონალის“ გახსნა. ამ რამოდენიმე თვის წინად პროფესიონალური კავშირთა ცენტრალური საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე არჩეულ იქნა საკლუბო კომისია, რომელსაც დაევალა კლუბის მოწყობა და გახსნა. ამ კომისიამ დაასრულა და შეასრულა თავისი მოვალეობა. პროფ. კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და საკლუბო კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა კლუბი გაეხსნათ პირველ მაისს საღამოს. ბევრი უხერხულობის გამო ვერ [illegible]. მუშათა კლუბი საუცხოვოთ არის მორთული. მარჯვენა და მარცხენა დარბაზის კედლებს ამშვენებს მუშათა კლასის ბელადების და საზოგადო მოღვაწეთა სურათები. დარბაზი გაჭედილი ხალხით. საღამოს ცხრის ნახევარ საათზე ფარდა იხდება. ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით [illegible] ხსოვნას. შემდეგ დაიწყო მისალმებები: ცენტრალური საბჭოს და მუშათა სახელით მიესალმა ამხ. გ. სხირტლაძე, ს.-დემ. კომიტეტის სახელით ამხ. ნ. ჟღენტი, სოც.-ფედერალისტთა სახელით გ. [illegible], [illegible] პარტიის სახელით ს. [illegible], ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის სახელით კ. ნემსწვერიძე, მუშა ქალთა ორგანიზაციის სახელით ქეთო კანდელაკის ასული, რკინის გზის კომიტეტის სახელით ლ. [illegible]ლავა, სახალხო უნივერსიტეტის სახელით ალ. გარსევანიშვილი, დრამატიული საზოგადოების სახელით ი. ზურაბიშვილი, ქალაქის თვითმართველობის სახელით ს. რამიშვილი. მიესალმენ აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა წარმომადგენელი და [illegible] სოც.-დემ. კოლექტივის სახელით ჯაფარიძე. მისალმებების შემდეგ ქუთაისის მუშათა გუნდმა შეასრულა რამოდენიმე სიმღერა. შემდეგ წაკითხულ იქნა ლექსები: ს. კვანტალიანმა და ირ. [illegible] წაიკითხეს საკუთარი ლექსები, ლ. თათარიშვილმა ს. აბაშელის ლექსი და ფილიევის ასულმა რუსულად ნადსონის და ბალმონტის ლექსები. აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება მუშათა საბჭოს გ. პლეხანოვის სახელობაზე არსებულ საღამოს სკოლის მოსწავლეებმა [illegible] მუშებმა, სახელდობრ: [illegible], სამანიშვილმა და ჭუმბურიძემ, რომლებმაც მშვენივრად წაიკითხეს ჩვენი მგოსნების ლექსები. [illegible] „[illegible]“ კარგად წაიკითხა ამხ. ვ. [illegible].

ზეიმი დამთავრდა ღამის 12 საათზე.

ი. ხ[illegible].

პროვინცია

ძ. სიღნაღი. აპრილის 28 ს აქ გაიხსნა პირველი ყრილობა მაზრის მომრიგებელ მოსამართლეებისა. ყრილობა გახსნა თავმჯდომარემ შალვა ტატიშვილმა, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, განაცხო მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის დაარსების ისტორია, მისი დანიშნულება მართლმსაჯულების საქმეში და აღნიშნა, რომ მისი საშუალებით განხორციელდება და ცხოვრებაში გატარდება ჩვენში მთავრობის [illegible] და ენერგიას ამ პირთაგან, რომელთაც ხალხმა თავისი ნდობით ჩააბარა მართლმსაჯულების წარმოება მაზრაში. თავმჯდომარემ აღნიშნა აგრეთვე, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის რეფორმა საქართველოში ფაქტიურად საფუძვლიანი განხორციელდა სიღნაღის მაზრაში და რომ ამ ყრილობის გარეშე სასამართლო სხდომა გაიხსნა აქ. ამას ისტორიული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მართლმსაჯულების და [illegible] ისტორიაში და ამიტომ წინადადება მისცა დამსწრე საზოგადოებას ამ სადღესასწაულო დღის აღსანიშნავად მილოცვის დეპეშა გაეგზავნოთ მთავრობის თავმჯდომარეს და იუსტიციის მინისტრს. ეს წინადადება დამსწრე საზოგადოებამ დადასტურა და დეპეშის მიწერა მიანდო ყრილობის თავმჯდომარეს. შემდეგ ამისა, შეკრებილი მოსამართლენი შეუდგნენ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საჰპელაციო საქმეთა განხილვას. ყრილობამ სამი დღე გასტანა.

დამსწრე.

ხად.-ღორი (კახეთის რკინის გზა). 1 მაისს ოთხის საღამოზე მოხდა შემდეგი ამბავი: ხაშმელი დავით ქოქრაშვილს მოეკლა ბარგი რვა ცალი, რომელსაც უნდა გადეხადა რვა მანეთი ფული ბარგის გადმოსატვირთი და მიეცა იქ მოსამსახურისთვის (გვარი და სახელი არ ვიცი). დავით ქოქრაშვილს აღარ და მიეცა ჯერ ხუთი მანეთი და კიდევ უნდა დაემატა სამი მანეთიც. მანამ მისცემდა ამ სამ მანეთს, ამ მოსამსახურეს აიღო ის ხუთი მანეთი და სულ ლუკმა ლუკმა დაგლიჯა. ამ თავხედობაზე მოსამსახურისა დავით ქოქრაშვილს მიემართა სადგური ოთხის სისხლის სამართლის უფროსის მილიციონერისათვის ბ ნ ხურცილავასთვის რომელსაც გამოეძიებინა ეს საქმე და ასე გადაეწყვიტა: დამნაშავეთ არ ეცნო სადგურ ოთხის მოსამსახურე იმ ფულის დახევაზე და გადაყრაზე, დავით ქოქრაშვილისთვის გამოერთვა ის სამი მანეთიც და გადეცა მოსამსახურისთვის, ერთიც არ ეთქვა, რათ დახია ის ფული და გადაყარაო. [illegible] მოელის ამისთანა უსამართლობას, რომელიც ხდება არამც თუ ამ სადგურზე, მრავალ სხვაგანაც.

დამსწრე.

წერილი რედ. მიმართ

ერმილე მამიკოს ძე დუმბაძემ შემოსწირა მისი დის ანეტა მამიკოს ასული [illegible] სახსოვრად „ერთობის“ ფონდისთვის 50 მან.*) სოფ. ლესის სკოლისთვის 50 მ. და იმავე სოფლის უფა[illegible]სი სამკითხველოსთვის 50 მან. შემომწირველს გულითად მადლობას უძღვნის სოფელ ლესის სკოლის და სამკითხველოს გამგეობა.

---

*) რედაქციამ მიიღო 50 მანეთი.

თეატრი და მუსიკა

სასულიერო კონცერტი. პარასკევს, 16 მაისს, სახელმწიფო თეატრში გაიმართება ახლად დაწერილი ლიტურგიის, მუსიკა დ. არაყიშვილისა. ამ კომპოზიტორის ქართული ოპერა უკვე ჩვენმა საზოგადოებამ მოისმინა და ღირსეულად დააფასა. დ. არაყიშვილი პირველი მე[illegible] ქართული ოპერისა და, რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი სურვილით ველით ამ ახალ სასულიერო კონცერტს, თუ რამდენად ტიპიურ და ხელოვნურად არის დაწერილი ქართული ლიტურგია.

ცნობები

ჯარისკაცი ბართლომე როსტომის ძე ჯანჯღავა მსახურობდა სოხუმის პოლკში, რომელიც დაიკარგა გერმანიის ფრონტზე. ვთხოვთ თუ ვინმემ იცის მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი ადრესით: გურია, ჯუმათის მონასტერი ელისაბედ როსტომის ასული ჯანჯღავას.

განცხადებანი

სამკურნალო კაბინეთი ექიმი

ვ. ნ. მოზიტიძისა

ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკისა სამხ. საქ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, სიფილ. შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606“ და „914“ შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა, № 11.

გაიხსნილია

კერძო სამკურნალო

მუდმივი საწოლებით

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფონი 5—97, ავადმყოფების მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველ დღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა. სტაციონალური ავადმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი

ვ. კლდიაშვილი

სპეციალურად: შინაგანი და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფობა: მალარია, ტუბერკულიოზი, გულის, ფილტვების და ნაწლავების სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ ყოველ დღეს დილ. 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. სახლის გარედ ღებულობს ავადმყოფებს ვაგზლის საავადმყოფოში 1 საათ.—3 საათ. ბინის მისამართი: პეტროგრადის ქუჩა, კუთხე მიხაილოვის პროსპექტის, [illegible] ქუჩის მახლობლად ტელეფონი 3—43.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ნახ. საათამდე მიხეილის პროსპექტი № 141, (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო). მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელ. 5—97.

ექიმი [illegible]

მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ცივების და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრონიზაცია. მისამართი: [illegible] ქ. № 11, [illegible] აფთიაქის ახლოს.

ექიმი

ნ. დ. ცურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მოსკოვის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, [illegible] და ქალურ სნეულებებზე ავადმყოფთ დილიდან 12—2 საათ. ნიკოლაევის ქ. № 7 სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი გ. ა. ზაზრაძე.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. [illegible] მისამ: [illegible] ქ. № 33.

ექიმი

გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალისა და სადასტაქრო ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღ. 5—7 საათ. [illegible]ის ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი

ბეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფებს (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილით 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 113 სასტუმრო „ნოვის“ პირდაპირ. ტელ. 14—25.

ექიმი

ა. მ. პაატაშვილი

იღებს ბავშვთა შინაგან და სნეულებიან ავადმყოფებს ყოველდღე გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. გუნიბის ქ., № 43.

ექიმი

ლ. ი. ცაგარელი

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი

ბესარიონი პოპოვი

განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—1 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 13—27.

ექიმი ქალი

რ. ბ. შიოლი-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკური ქირურგიული კლინიკისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბჭოებს [illegible]. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: [illegible] ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

ექიმი

დ. მ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე, გარდა კვირა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ვლასოვის ხელმძღვანელობით

ოთხშაბათს, 7 მაისს მე-11 ჯერ ზ. ფალიაშვილის ოპერა

აბესალომ და ეთერი

ხუთშაბათს 8 მაისს, გ. ა. ვრონსკის 10 წლის იუბილე „ევგენი ონეგინი“, პარასკევს 9 მაისს „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

ოთხშაბათს მ. წ. 14 მაისს ქალაქის თვითმართველობის საიჯარო-სამეურნეო განყოფილების მიერ დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გადაცემა ქალაქის სასწორი, მოთავსებული ჯარისკაცთა ბაზარში, [illegible] და [illegible] დაღმართზე (1 ფუნტი).

კონდიციების გაცნობა შეიძლება საიჯარო-სამეურნეო განყოფილების კანცელარიაში (ქალაქის თვითმართველობა), ყოველდღე უქმეების გარდა, დილის 10—12 საათამდე. (3—1)

ოთხშაბათს, მიმდინარე წლის 7 მაისს ქალაქის თვითმართველობის საიჯარო-სამეურნეო განყოფილების მიერ დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გადაცემა ორთავალი სავაჭრო ქალაქის შენობაში, გოლოვინის პროსპ. № 10. კონდიციების გაცნობა შეიძლება საიჯარო-სამეურნეო განყოფილების კანცელარიაში (ქალაქის თვითმართველობა) ყოველ დღე უქმე დღეების გარდა, დილის 10—12 საათ. (2—2)

განცხადება

ბორჯომის წყლის კონტრაგენტი დავით ქებაძე აცხადებს კლიენტების საყურადღებოთ, რომ ვინაიდან მიწათ მოქმედების სამინისტროსთან დადებული ძველი პირობები ცხოვრების გაძვირების გამო შეცვლილია, მას მიერ ფასის გადიდებით, ამიტომ ყველა ძველი დანაკვეთი („ზაკაზები“) გაუქმებულად ჩაითვლება. ვისაც ახალ ფასებში არ მოისურვებს წყლის მიღებას, მას შეუძლია ბე უკან წაიღოს. ყოველივე დაწვრილებითი ცნობების მიღება ამის შესახებ შეიძლება ეროვნულ მაღაზიის მმართველ [illegible].

(3—3) პატივისცემით დავით ქებაძე.

საზოგადოების საყურადღებოდ

ბორჯომის წყლის [illegible] დავით ქებაძე აცხადებს, რომ მის განყოფილებაში, თფილისში (ვერის მოედანი, თამამშევის ქარვასლა) ბორჯომის წყალი იყიდება ბოთლობით;

დიდი ბოთლი თავის ჭურჭლით ღირს 5 მანეთი

ამასთანავე ის სთხოვს პატივცემულ მყიდველთ ყურადღება მიაქციონ ამ განცხადებას და იმ შემთხვევაში თუ მისი კანტორის ნოქარი ზედმეტს გადაახდევინებს, ამ უკანასკნელს ნება აქვს ნოქარი [illegible] მისცეს და ამის შესახებ შეატყობინოს მთავარ კანტორას ბორჯომში. ამ მოკლე ხანში გოლოვინის პროსპ. № 24 გაიხსნება მეორე განყოფილება, სადაც ბორჯომის წყალი გაიყიდება ჭიქობით.

პატივისცემით დ. ქებაძე.